№ 94 / 20 - 26 ოქტომბერი / 2011 ფასი 2 ლარი

ლიბერალი

მთავარი თემა:

ბიძინა ივანიშვილის პირველი პოლიტიკური ნაბიჯები

ორი აზრი

ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი

გვ. 10

მედია

იარალი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი

გვ. 22

ჟურნალისტური გამოძიება

გამოსასყიდებული სიკვდილის ქრონიკა საქართველოს სიხლეებში

გვ. 30

ISSN 1987-7528

© Khatia Psuturi

ლიბერალი

№ 94 / 20 - 26 ოქტომბერი /2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორი
სოფო ბუკია

რედაქტორი /საზოგადოება/
თამარ ბაბუაძე

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ვასო კუჭუხიძე, კახა თოლორდავა, ირაკლი ძნელაძე, გივი მგელაძე, მაგდა მემანიშვილი, ლიკა ზაკაშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვების და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე

გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

www.liberali.ge

რედაქტორისგან

„ფულის გათეთრების საქმეზე დაკავებული „ქართუ ბანკის“ ორი თანამშრომელი კვლავ დაკითხვაზე იმყოფება;

ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის დაცვის ათი თანამშრომელი დაცვის პოლიციის დეპარტამენტში იარაღს აბარებს;

ირაკლი ალასანია: – „ქართუ ბანკის“ ოპერაცია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სახელისუფლებლო ექსტრემიზმია;

ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოართვეს;

ბიძინა ივანიშვილის შვილის, მომღერალ ბერას მეგობარი ლევან მდინარაძე სამართალდამცავებმა ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-შენახვის გამო დააკავეს, – აცხადებს შსს“;

ეს ახალი ამბები ვრცელდება ამ წუთისათვის, 19 ოქტომბრის გამთენიისას და შესაძლოა ჩამონათვალი უახლოეს დღეებსა თუ თვეებში ბევრად გაიზარდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ისევ სამარცხვინოდ იქცევა და პოლიტიკურ ოპონენტებს ისევ მისთვის ჩვეული მეთოდებით უპირისპირდება.

ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება არ ტოვებს სივრცეს ლეგიტიმური პოლიტიკური კონკურენციისათვის და ზოგადად, დემოკრატიისათვის.

არასაჯარო საუბრებში დიპლომატები ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას ხელისუფლების ქმედებებზე და იმედია, მათი შეფასებები, უახლოეს დღეებში, საჯაროც გახდება. ეს მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა გამოვიდეს აგონიიდან და გადავიდეს ბრძოლაზე წესების დაცვით. მით უფრო, რომ სახელისუფლებო ელიტას უყვარს გამოწვევები და ძლიერ ოპონენტებთან თამაში.

ბიძინა ივანიშვილი კიდევ კარგა ხანს იქნება მთავარი თემა. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ მომავალი ერთი წლის მანძილზე ჩვენ საშუალება გვექნება გავიაზროთ მოვლენები და დავწეროთ თავად პოლიტიკურ პროცესზე, ივანიშვილის გუნდის ფორმირებაზე, მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და საარჩევნო პროგრამების შეჯერებაზე... და არა ხელისუფლების ექსტრემიზმზე.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: დავით მარიანი/REUTERS / REUTERS

ივანიშვილის პირველი პოლიტიკური ნაბიჯები

გუნდი, რომლის დაფინანსებას და პარლამენტში უმრავლესობით მოყვანას ივანიშვილი აპირებს, ჯერ მკაფიო არ არის, მაგრამ გარკვეული კონტურების გარჩევა უკვე შეიძლება.

გასულ კვირას ბოტანიკური ბაღში მდებარე სასახლეს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“ და „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები.

ყველაზე კონკრეტული გეგმები ივანიშვილთან დაკავშირებით „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ. მათი ლიდერი ირაკლი ალასანია ივანიშვილს 17 ოქტომბერს უკვე მეორედ შეხვდა. ალასანია ივანიშვილთან პოლიტიკური კონსულტაციების გაგრძელებას და მჭიდრო ურთიერთობას გეგმავს.

მთავარი თემა
გვ.16

ახალი დღის ნესიბი

თუ აქამდე განხეთქილება ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის იმას შეეხებოდა, უნდა დარჩეს თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებაში, ივანიშვილის გამოჩენამ და მისმა განცხადებებმა ახალი კითხვები წარმოშვა: თუ ორი დაახლოებით ერთნაირი ძალისა და მისწრაფებების ძალაუფლების ცენტრი იარსებებს, მაშინ რა ნიშნით უნდა გავაკეთოთ არჩევანი?

გიორგი ცხადაიას კომენტარი
გვ.12

ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი

„ლევან მიქელაძის ფონდმა“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბოლო 1 წლის საქმიანობა კრიტიკულად შეაფასა.

ფონდი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, ირაკლი ჩიქოვანს ინტერესთა კონფლიქტში ადანაშაულებს. ირაკლი ჩიქოვანი შპს „მაგი სტილი მედია“-ს საერთო წილის 35%-ს ფლობს. “მაგი სტილი მედია“ იმ სფეროში საქმიანობს, რომლის კონტროლიც კომუნიკაციების კომისიას ევალება.

აღნიშნული კომპანიის წესდების 2.2 პუნქტის თანახმად, კომპანიის საქმიანობის ძირითად მიზანს სატელევიზიო რეკლამების მომსახურება და ტელევიზიებში რეკლამების განთავსება წარმოადგენს.

კანონით მაუწყებლებში რეკლამის განთავსების კონტროლი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ევალება, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანი ხელმძღვანელობს.

გიორგი მგელაძე
გვ.22

გამოსახადებული სიკვდილის ქრონიკა საქართველოს ციხეებში

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ციხეებში 513 პატიმარი დაიღუპა. 2006 წლის შემდეგ დაღუპულ პატიმართა რაოდენობა ასკაციან ნიშნულს ორჯერ ასცდა, პირველად – 2007 წელს, როდესაც სისტემაში 101 ადამიანი დაიღუპა, მეორედ კი გასულ წელს – 142.

როგორ იღუპებიან პატიმრები? რა გზას გადიან ისინი დაავადებიდან გარდაცვალებამდე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ორი პატიმრის ისტორიით შევეცადეთ. მათი ამბები ოჯახის წევრთა მონათხრობითა და მათ ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის საშუალებით აღვადგინეთ.

„სტუდია მონიტორის“ გამოძიება
გვ.30

ფოტორეპორტაჟი

ნაბავსაყრელი ისტორიას დაჩრება

ფოტო: ირაკლი ძნელაძე

ირაკლი ძნელაძის ფოტორეპორტაჟი
გვ.36

ასევე ნომერში:

ფოტო: ბერაია/ნზე
დავით მაჩარაშვილი / REUTERS

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
10 **ორი აზრი**
სამართლებრივია თუ არა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა?
გიორგი ვაშაძე VS ვახტანგ ხმალაძე
კომენტარი
12 ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი
გიორგი ცხადაია
მეზობლები
14 ტიმოშენკოს საქმე
ეკონომიკა
24 საარჩევნო წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები
ბიზნესი
26 ოფიციალური ინფორმაცია
ჟურნალისტური გამოძიება
30 გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა საქართველოს ციხეებში
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
44 საიდუმლო ქალაქი

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

86 მილიონი დოლარი წინასაარჩევნო კამპანიისთვის

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2011 წლის ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიის ფონდისთვის 86 მილიონი დოლარი მოაგროვა. ეს ინფორმაცია პრეზიდენტის საპრეზიდენტო კამპანიის მენეჯერმა გაამხილა.
ობამას საარჩევნო კამპანიაში თანხა 600 ათასმა ამერიკელმა გადარიცხა. მათგან 98-მა პროცენტმა ყველაზე ბევრი – 250 დოლარი, ყველაზე ცოტა კი 56 დოლარი გაიღო.
2008 წლის არჩევნებისთვის ბარაკ ობამამ 745 მილიონი დოლარის შეგროვება შეძლო. ობამას მრჩევლების ვარაუდით, 2012 წლის არჩევნებისთვის საპრეზიდენტო კამპანიის თანხა 2008 წლის მონაცემებს მკვეთრად გადააჭარბებს და ამერიკის ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს, ერთ მილიარდ დოლარს მიაღწევს.
არჩევნები 2012 წლის 6 ნოემბერსაა დანიშნული.

თურქეთი ევროკავშირს უთანხმოების გაყინვით ემუქრება

თურქეთი ევროკავშირთან ურთიერთობას გაყინავს, თუ 2012 წლის ივლისში ევროკავშირის თავმჯდომარე სახელმწიფო კვიპროსი გახდება. ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა. „თურქეთს არ სურს დიპლომატიური ურთიერთობა ე.წ. სახელმწიფოსთან, რადგან ანკარა კვიპროსის „ბერძნული ნაწილის“ სუვერენიტეტს არ აღიარებს“, – განაცხადა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. თურქეთი კვიპროსის გაერთიანების ინიციატივით გამოდის. ერდოღანის თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი მასზე, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაზე.
ერდოღანი ასევე დაიმუქრა, რომ ანკარა მკაცრ საპასუხო ზომებს მიიღებს, თუ ნიქოზია ხმელთაშუა ზღვაში ნავთობის მოპოვებას მომავალშიც შეეცდება. ევროკომისია ანკარასა და კვიპროსს შორის არსებული კონფლიქტის გამო შეშფოთებას გამოთქვამს და თურქეთს მოლაპარაკებების გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

ირანელი ჩეჩისოჩი ბაასამართლეს

ირანელ კინორეჟისორს ჯაფარ ფანაჰის ექვსი წლით პატიმრობა და 20 წლით ფილმების გადაღების აკრძალვა მიესაჯა. მას ასევე უცხოეთში წასვლის უფლება ჩამოართვეს. თეირანის სააპელაციო სასამართლომ საბოლოო განაჩენი 15 ოქტომბერს გამოიტანა.
ფანაჰი რამდენიმე საერთაშორისო პრემიის ლაურეატია. ირანის ხელისუფლებამ ის 2010 წელს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ბრალდებით დააკავა. ირანის მთავრობას მიაჩნია, რომ ფანაჰის ფილმი მასობრივი პროტესტის შესახებ, რომელიც 2009 წლის არჩევნებს მოჰყვა, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სერბებმა ჩოსოვოში გზები გადაკეტეს

კოსოვოს მკვიდრმა ეთნიკურმა სერბებმა გზები 16 ადგილას ქვებითა და მორებით ჩახერგეს. ადგილობრივებს არ სურთ, რომ კოსოვოს ხელისუფლებამ მათზე კონტროლი დაამყაროს.
ისინი ნატოს სამშვიდობო ჯარების მოთხოვნას მოხსნან ბლოკადა, არ ემორჩილებიან. მათ გზები სერბიასთან კოსოვოს ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გარშემო უთანხმოების გამო 2011 წლის ივლისიდან აქვთ გადაკეტილი. ნატოს სარდლობით მოქმედმა მრავალეროვანმა სამშვიდობო ძალებმა სერბებს გზების გასახსნელად 18 ოქტომბრამდე მისცეს ვადა, თუმცა უშედეგოდ. იმ ადგილას, სადაც გზები ბლოკირებულია 18 ოქტომბერს ასობით სერბი მივიდა ბლოკადის ცოცხალი ძალით გასაძლიერებლად.
სერბები არ ცნობენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომელიც 2008 წელს გამოცხადდა.

გადაკეტე WALL STREET-ი!

16 ოქტომბერს ნიუ-იორკში, მანჰეტენზე საზოგადოებრივი კამპანია „გადაკეტე უოლ-სტრიტის“ 70 მონაწილე დააკავეს. ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, „ტაიმს სკვერზე“, რამდენიმე საათის განმავლობაში ათასამდე მოქალაქე ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების ფინანსურ პოლიტიკას აპროტესტებდა. აქციის მონაწილეები მოქალაქეების სასარგებლოდ გლობალურ ცვლილებებს უჭერენ მხარს.
ნიუ-იორკის პოლიციის წარმომადგენლის, პოლ ბრაუნის განცხადებით, ქალაქში მშვიდი სიტუაცია იყო, თუმცა, ცალკეული ინციდენტების თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა. არეულობისას ათამდე პოლიციელი დაშავდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, საპროტესტო აქციაში 50 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.
ამერიკის ფინანსური პოლიტიკის



წინააღმდეგ საპროტესტო აქციები 17 სექტემბრიდან იმართება. თუმცა ნიუ-იორკი ერთადერთი ქალაქი არ არის, სადაც დემონსტრაციები ეწყობა. მიტინგები პარალელურად მიმდინარეობდა ბოსტონში, დენვერში, დეტროიტში, ჯექსონში, ორლანდოში, პიტსბურგსა და ვაშინგტონში. ასევე, მსოფლიოს 82 ქვეყანაში. დემონსტრაციების მონაწილეები კორპორაციების სიხარბის, ასევე სოციალური და ფინანსური უთანასწორობის წინააღმდეგ გამოდიან.

ფრანკფურტში, გერმანიის საფინანსო ცენტრში, ათასობით მოქალაქემ აქცია ევროპის ცენტრალური ბანკის შენობასთან გამართა. აქცია მოეწყო რომშიც. იტალიის დედაქალაქში დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. აქციის მონაწილეებმა ცეცხლი წაუკიდეს ავტომანქანებს, დაამსხვრიეს მაღაზიებისა და ბანკების მინები. დაშავდა 70 ადამიანი. ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა მადრიდში, ლონდონში – 250, ბრიუსელში – 6 ათასამდე. ათასობით ადამიანი გამოვიდა საბერძნეთშიც.

ყაზახეთში ჰელიბიჰის ჯგუფები იზღუდება

ყაზახეთში ახალი კანონი მიიღეს, რომლის თანახმადაც არსებულ რელიგიურ ჯგუფებს რეგისტრაციის ახლიდან გავლა ახალი პროცედურებით მოუწევთ. კანონი გამორიცხავს პატარა ჯგუფების რეგისტრაციას. ახალი სამლოცველოების ასაშენებლად რელიგიურ ჯგუფებს ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა დასჭირდებათ. ადგილობრივი მმართველობის ხელში გადადის ახალგაზრდების რელიგიური განათლების კონტროლიც. ასევე იკრძალება ლოცვა სამუშაო ადგილებზე.

კანონს, რომელიც ქვეყანაში რელიგიური ჯგუფების კონტროლს ამკაცრებს, ხელი ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მოაწერა. კანონპროექტი, რომელიც თავად ნაზარბაევმა შესთავაზა პარლამენტს, საკანონმდებლო ორგანომაც აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა.

ახალი კანონი განიმარტება, როგორც ისლამური ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. თუმცა ის უკვე გააკრიტიკა ეუთომ. ამ ორგანიზაციის შეფასებით, „ზედმეტად იზღუდება რელიგიის თავისუფლება“. ყაზახეთში 16,5 მილიონიანი მოსახლეობის 70-მდე პროცენტი მუსლიმია.

1 ჯარისკაცი 1027 პატიმრის სანაცვლოდ

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა 1027 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლებას მოაწერა ხელი. პალესტინელი პატიმრები ტყვედ მყოფ ისრაელ ჯარისკაცში გილად შალითში უნდა გაიცვალოს. შალითი 2006 წელს ჰამასის მხარდაჭერით მოქმედმა მეომრებმა მაშინ დააკავეს, როდესაც მათ ისრაელის ტერიტორიაზე რეიდი მოაწყვეს. ის ღაზაში ჰყავდათ დატყვევებული.

ისრაელსა და პალესტინას შორის შეთანხმება ეგვიპტის მხარდაჭერით შედგა. შეთანხმების თანახმად, ჰამასმა ისრაელის მოქალაქე ეგვიპტის ოფიციალურ მხარეს გადასცა. 18 ოქტომბერს კი გილად შალითი სახლში დაბრუნდა.

თავის მხრივ, ისრაელმა 18 ოქტომბერსვე 1027 ტყვის გათავისუფლების პროცესი დაიწყო. ისრაელის არმია ტყვეთა გაცვლის პროცესს სრული მზადყოფნით დახვდა. ისრაელის მთავრობის ვარაუდით, გათავისუფლებული პალესტინელი პატიმრებით სავსე ავტობუსების კოლონა თავდასხმის საფრთხის წინაშე შეიძლებოდა დამდგარიყო.

დასავლეთ იერუსალიმის მცხოვრებლები ქუჩაში შეიკრიბნენ. მათ დაკავებულთა გაცვლა გააპროტესტეს.

რიცხვები, ციტატები

23 315 ლარი დახარჯა თბილისის მერიამ მივლინებებზე ორი კვირის განმავლობაში, 25 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით.

12 ქართველი მეზღვაური ნიგერიელმა მეკობრეებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

20 პატიმარი დაიღუპა მექსიკის ციხეში მომხდარი არეულობის დროს.

3000 მოქალაქე დაიღუპა სირიაში მთავრობის ოპონენტებზე ძალადობის შედეგად.

6300 პატიმარი გაათავისუფლეს ბირმის ახალი მთავრობის გადაწყვეტილებით.

44 პროცენტიანი რეიტინგი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ NDI-ს გამოკითხვების მიხედვით.

74 480 ლარი დაუჯდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ქართულ ტელევიზიებში სარეკლამო კლიპის „პენსიის 7-დან 100 ლარამდე გაზრდის“ გაშვება.

36 პროცენტამდე შემცირდა საქართველოში არასასურველი ორსულობის რიცხვი.

430 ათასი დოლარის ღირებულების ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკულ ლობისტურ კომპანიასთან Gephardt Government Affairs.

„აქამდე ვიყავით ნაცარქექიების ქვეყანა, ყოველ შემთხვევაში, ვიღაცები რაღაც ეტაპამდე ნაცარქექიები იყვნენ. ნავთობი და გაზი შეიძლება, არ გვქონდეს, მაგრამ ნაცარი ბევრი გვაქვს და ახლა ვიწყებთ მუშაობას.

შეგვიძლია, ესეც საქმეში გამოვიყენოთ“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

„რუსეთი 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს. ჩვენ მივაღწევთ, რომ რუსეთმა შეასრულოს ეს ვალდებულებები. მიმდინარეობს რუსეთთან პირდაპირი მუშაობა, რომ

შეწყვიტოს საქართველოზე ზეწოლა“.

მაიკლ მაკფოლი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

„2012 და 2013 წლების არჩევნები მართლაც გადამწყვეტი გამოცდაა საქართველოს დემოკრატიისათვის. მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები იყოს ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი და საქართველოს დემოკრატია გასცდეს პიროვნებათა პოლიტიკის საზღვრებს და გადავიდეს ისეთ პროცესში, სადაც პოლიტიკურ პარტიებს შეეძლებათ თავისუფლად მოქმედება, არჩევნებში ბრძოლა და ვფიქრობ, ეს უნდა იყოს მემკვიდრეობა, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი დატოვებს – ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა ერთი დემოკრატიული ადმინისტრაციიდან მეორე დემოკრატიული ადმინისტრაციისთვის“.

სენატორი ჯინ შაჰინი

„არცერთი სახელმწიფოს – არც რუსეთის, არც საქართველოს და არც სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს არ ვუსურვებ, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღონ, თუმცა ხანდახან მისი მიღება გვიწევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ამ მძიმე სიტუაციიდან [2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი] გაკვეთილი ყველამ გამოიტანა, რუსეთი კი ამ კონფლიქტიდან ღირსეულად გამოვიდა. გადაწყვეტილების სიმძიმე ყოველთვის ერთ ადამიანს აწევს და მომავალში სწორედ მას დაადანაშაულებენ, ან მადლობას გადაუხდიან“.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ანაბრების აქცია!

+1,5%

USD / EUR

ვადიან და მოქნილ ანაბარზე

აირჩიე ბანკი, რომელსაც ენდობი

იკითხეთ ლიბერალის პორტალზე

www.liberali.ge

გივი შადურის ბლოგი
ივანიშვილის იმედად

მართლაც, რა არის ქართული ოცნება? ნუთუ ეს ჭორვილასავით მხართეძოზე წამოგორებული ქართველია, რომელსაც უფასო შუქი, გაზი და ტელევიზორი სავსებით ყოფნის სიმაძღრისთვის? იქნებ ისევ კეთილ მეფეზე ოცნებაა, იდეალიზირებული აღმაშენებლისა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდეს ნაზავი? ასეთ აბსტრაქტულ ფრაზებში, როგორც წესი, ბევრი ეშმაკური ნიუანსი იმალება. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი კი ისაა, როცა მავანი გაიძახის, რომ მან იცის, რა სურს საზოგადოებას.

ნინო ნატროშვილის ბლოგი
ჯინსებით ინტერნეტში

ნეტა როგორი იქნება ერთი ჩვეულებრივი ქართველის რეაქცია, როცა აღმოაჩენს, რომ მისი ჯინსი უცბად დაჭკვიანდა და ინტერნეტში შევიდა. ან უფრო მეტიც: Twitter-ზე ან Facebook-ზე მისი ადგილსამყოფელი დაუკითხავად მიუთითა და ყველას გააგებინა, რომ იმ დროს, როცა მეუღლეს სამსახურში ჰგონია, სინამდვილეში შარდენზეა და საყვარელ სასმელს წრუპავს?

ჟურნალ „ლიბერალის“ 2011 წლის ოქტომბრის (№92) ნომერში გამოქვეყნდა სტატია „შეზღუდული შესაძლებლობების ქალაქი“. სტატია ასახავდა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს.

უდავოდ მისასალმებელია მედიასაშუალებების მიერ გამოხატული ინტერესი იმ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართ, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობად“ და რომელთა რიცხვმა მთელ მსოფლიოში მილიარდს გადააჭარბა და საშუალოდ მსოფლიო მოსახლეობის 15% შეადგინა და რომელთა ყოფაც ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად აშუქებს ამ საკითხს მედია.

მიუხედავად იმისა, რომ სტატია ობიექტურად ახდენს იმ დაბრკოლებების იდენტიფიკაციას, რომლებიც ხელს უშლიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ისარგებლონ „თანაბარი შესაძლებლობის უფლებით“, საკითხზე მსჯელობისას სტატიაში გამოყენებულ ტერმინოლოგიას („შეზღუდული უნარების ადამიანი“, ,,დაბადებიდან ცერებრალური დამბლის გამო პირველი ხარისხის ინვალიდი“, „ინვალიდობა“...) უნებლიე პასუხისმგებლობა გადააქვს თავად სუბიექტზე – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანზე, მის ფიზიკურ და/ან მენტალურ უნარებზე, რაც მათში ამკვიდრებს სასოწარკვეთილებას და ამართლებს დამდგარ უთანასწორობას. გამოყენებული ტერმინოლოგია ასევე აძლიერებს საზოგადოებაში საკითხთან დაკავშირებით დამკვიდრებულ ცრუ წარმოდგენებს, ამართლებს გავრცელებულ მითებს და შესაბამისად ასუსტებს იმ პირთა პასუხისმგებლობის ხარისხს, ვისზეც დამოკიდებულია ამ ადამიანთა ყოფა – მათი უფლებრივი მდგომარეობა.

დღემდე მთელ მსოფლიოში არაა ერთმნიშვნელოვნად მიღებული ტერმინი, რომელიც ზუსტად ასახავდა რეალობას და იქნებოდა ადვილად გამოსაყენებელი, როგორც ზეპირ, ისე წერილობით სარგებლობისას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში კანონით დადგენილია ტერმინი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ის, რა თქმა უნდა, არაა იდეალური ზემოთ ხსენებული თვალსაზრისით, მაგრამ იძლევა საშუალებას, აქცენტი გააკეთოს არა პირის ფიზიკურ და/ან მენტალურ უნარებზე, არამედ იმ მატერიალურ გარემოზე, უვარგის კანონებზე და საზოგადოების არაობიექტურ დამოკიდებულებაზე, რომელთა ერთობლიობა ზღუდავს ამ ადამიანთა თანასწორობას მათ უფლება თანაბარ შესაძლებლობებზე.

პატივისცემით,
კობა ნადირაძე
დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

გაერთიანებული
ერების ორგანიზაცია
საქართველოში

www.ungeorgia.ge

ფოტო: ფაბიან ბარნარუბერი / REUTERS

სამართლებრივია თუ არა ... მოქალაქეობის

კი

„საქართველოს ყველა მოქალაქე სარგებლობს თანასწორი უფლებებითა და მოვალეობებით. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, იქნება ეს რიგითი მოქალაქე, მდიდარი ან ღარიბი ადამიანი, თუ პრეზიდენტი ან მათი ოჯახის წევრები.

ჩვენ ადრეც არაერთხელ მოგვისმენია ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შინაარსის შემცველი გამოსვლა, თუმცა, 2011 წლის 7 ოქტომბერს მის მიერ გავრცელებული განცხადება შეიცავდა ჩვენთვის საგულისხმო ახალ ინფორმაციას მის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების თაობაზე – კერძოდ, 2004 წლის შემდეგ, ანუ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდგომ პერიოდში, საფრანგეთის მოქალაქეობის მოპოვების შესახებ.

სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის

გიორგი ვაშაძე
იუსტიციის მინისტრის მოადგილე

საფუძველს, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით განხორციელდა.

„რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბიძინა გრიგოლის ძე ივანიშვილს 2004 წლის 22 ივლისს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ჩატარდა წარმოება და დადგინდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოიპოვა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბიძინა ივანიშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა“, – წერია სამოქალაქო რეესტრის მიერ 11 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებაში.

გიორგი ვაშაძის კომენტარი და სამოქალაქო რეესტრის განცხადება გავრცელდა სხვადასხვა მედიასაშუალებებში.

ბიძინა ივანიშვილისთვის ჩამოერთმევა?

არა

ვახტანგ ხმალაძე
„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი

მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დადგენილ ნორმებს და შესაბამისად, კონსტიტუციიდან გამომდინარე დაფუძნებულ „საქართველოს ორგანულ კანონს მოქალაქეობის შესახებ“ და აი, რატომ:

ერთი წუთით თავი დავანებოთ ფორმალურ და შესაძლოა, კაზუისტიკურ მიდგომას, რომელიც ამ ვითარების ასახსნელად არაერთგზის მოვისმინე. საქართველოს კონსტიტუცია ცნობს საქართველოს მოქალაქის ორ შესაძლო მდგომარეობას. პირველი – ეს არის ჩვეულებრივი, სტანდარტული მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე. შემდგომ ორგანულ კანონში ვკითხულობთ: იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქემ მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, მაშინ ის კარგავს საქართველოს მოქალაქეობას – ეს არის პირველი მდგომარეობა. მეორე შესაძლო მდგომარეობაა, როცა საქართველოს მოქალაქე შეიძლება იმავდროულად სხვა ქვეყნის მოქალაქეც არის. კონსტიტუცია ამაზე ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, სხვა ქვეყნის მოქალაქეს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოს წინაშე დამსახურებისთვის ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. კონსტიტუციაში არ არის ნათქვამი, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს, თუ პირი იყო არა ერთი, არამედ ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქე. როცა წერია, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, ეს ნიშნავს იმასაც, რომ პირი შეიძლება იყოს ორი ან სამი ქვეყნის მოქალაქე.

ამით არ იცვლება საკითხის არსი და პირის სტატუსი, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს საქართველოს მოქალაქეობა ან პირიქით, ხელი შეუშალოს საქართველოს მოქალაქეობას. ამიტომ ვამბობ, ხელისუფლების გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ არაკონსტიტუციური იყო. თან ხომ აბსოლუტურად განსხვავებულია, როცა პირს მარტო საქართველოს მოქალაქეობა აქვს და ითხოვს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას და როცა პირს აქვს სხვა ქვეყნის და საქართველოს მოქალაქეობაც. პირველ შემთხვევაში, პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთმევა, მეორე შემთხვევაში კი ეს არ ხდება. ივანიშვილთან დაკავშირებით ამაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: დღეს ბატონმა ივანიშვილმა რუსეთის მოქალაქის პასპორტი ჩააბარა. რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტას გარკვეული დრო დასჭირდება.

ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი



შეუწყობს თუ არა ხელს ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს?

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ერთნაირად ააფორიაქა ხელისუფლების მხარდამჭერები, ოპოზიციონერები და სამოქალაქო საზოგადოება. ბევრმა ადამიანმა არ იცის, თუ რა იფიქროს მოულოდნელი ცვლილებების შესახებ. ნაწილობრივ, ეს დაბნეულობა ბიძინა ივანიშვილის არასაჯარო, მითოლოგიური იმიჯით არის გამოწვეული, მაგრამ მეორე მხრივ, მისი ახსნა გაცილებით უფრო ფუნდამენტურ მიზეზებში უნდა ვეძებოთ.

შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ქვეყნის წინაშე სერიოზულად დააყენოს დემოკრატიის საკითხი. აქამდე ასეთი საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დამდგარა: 2003 წელს საქმე არჩევნების გამყალბებელი მთავრობის გადაყენებას ეხებოდა და 2007-დან 2010 წლამდე გამართულ აქციებშიც მთავარი თემა სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა იყო.

არცერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში, საკითხი არ დამდგარა ისეთი დამოუკიდებელი ძალაუფლების ცენტრის შექმნაზე, რომელსაც ექნებოდა საკუთარი ამომრჩევლების ბაზა, ძლიერი მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერა და ქვეყნის განვითარების თავისი ხედვა. ბოლო წლებში, ოპოზიციის რადიკალური ნაწილის რიტორიკა ზოგ შემთხვევაში, საერთოდ გამორიცხავდა ხელისუფლების მხარდამჭერი მოქალაქეების არსებობას და ხელისუფლებას წარმოაჩენდა, როგორც მხოლოდ საზოგადოებისთვის საშიშ, კრიმინალურ დაჯგუფებას.

ივანიშვილის რიტორიკა ზემოთ ხსენებული რიტორიკისგან ორი მთავარი ნიშნით განსხვავდება: პირველი, იგი აღიარებს ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების პოლიტიკურ არენაზე არსებობის ლეგიტიმურობას და მეორე, იგი ცვლილებების განმახორციელებელ საშუალებად არა მიტინგებსა და მასობრივ დემონსტრაციებს, არამედ არჩევნებს მიიჩნევს.

აქამდე მსგავსი რიტორიკის შემოტანა შეუძლებელი იყო, რადგან მიიჩნეოდა, რომ ხელისუფლებასთან და მის ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსებთან არჩევნების გზით ბრძოლა შეუძლებელია. ამ მიზეზით, ოპოზიციური პარტიები არჩევნებში მონაწილეობაში განსაკუთრებულ აზრს ვერ ხედავდნენ (რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას, როდესაც ხელისუფლება, მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, საგრძნობ უპირატესობას ფლობს?).

თუ აქამდე განხეთქილება ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის იმას შეეხებოდა, უნდა დარჩეს თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებაში, ივანიშვილის გამოჩენამ და მისმა განცხადებებმა ახალი კითხვები წარმოშვა: თუ ორი დაახლოებით ერთნაირი ძალისა და მისწრაფებების ძალაუფლების ცენტრი იარსებებს, მაშინ რა ნიშნით უნდა გავაკეთოთ არჩევანი?

ერთი სიტყვით, თუ აქამდე პოლიტიკურ დღის წესრიგში იდგა ხისტი ძალისა და რევოლუციური ცვლილებების საკითხი, ივანიშვილის გამოჩენამ შესაძლოა პოლიტიკური კონკურენციისა და იდეოლოგიების თემა გახადოს აქტუალური.

ჯერჯერობით საქართველოში იდეოლოგიის საკითხს მატერიალურ-ფინანსური რესურსების საკითხი ფარავს. ქართულ ოპოზიციურ პარტიებს დიდად არ აინტერესებთ, თუ რომელ პარტიასთან შევლენ ალიანსში (ისინი მხოლოდ აშკარად პრორუსულ ძალებს უფრთხიან), არამედ უფრო ის, თუ რომელი პოლიტიკური ძალა შესთავაზებს მეტ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის გამოჩენა ზოგიერთი ქართული ოპოზიციური პარტიისთვის ყველაზე უფრო დიდი პოზიტიური ცვლილებაა, რაც ბადრი პატარკაციშვილის გამოჩენის შემდეგ მომხდარა.

ამ ფონზე საინტერესოა, რომ არც ირაკლი ალასანიას და არც რესპუბლიკელებს ივანიშვილთან შესაძლო თანამშრომლობის პირობებზე არაფერი უთქვამთ. ასევე, ცნობილია, რომ რესპუბლიკელები და ალასანია წარსულში უკვე რამდენჯერმე ვერ შეთანხმდნენ გაერთიანებაზე. მათ შორის წარმოშობილ უთანხმოებაში ნაკლებ სავარაუდოა, რომ მთავარი თემა პოლიტიკური იდეები ან მოსაზრებები ყოფილიყო. უფრო მეტად ალბათ საქმე ისევ და ისევ რესურსების, ლიდერობისა და სტრატეგიის საკითხებს შეეხებოდა.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური დისკურსი ჩვენთან ძირთადად არა იდეებს, იდეოლოგიებსა და პოლიტიკურ პროგრამებს, არამედ უფრო მეტად ხისტ ძალასა და მატერიალურ-ფინანსურ რესურსებს შეეხება, ბევრი ადამიანი საქართველოში დემოკრატიის განვითარებას სკეპტიკურად უყურებს და მიიჩნევს, რომ ჩვენთან შეუძლებელია დამყარდეს პოლი-

ტიკურ ძალებს შორის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის რეჟიმი.

ქართული პოლიტიკური, სამოქალაქო და კულტურული აზროვნებისთვის დემოკრატიის იდეა უცხოა. როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი, ისე ოპოზიციონერი ამომრჩევლისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შესაძლებელია ორი მეტნაკლებად თანაბარი ძალის ძალაუფლების ცენტრი ერთდროულად არსებობდეს და ეს სახელმწიფო გადატრიალებაში, ან სამოქალაქო ომში არ გადაიზარდოს.

ერთი სიტყვით, დემოკრატიის, როგორც ორ ან მეტ დამოუკიდებელ ცენტრს შორის მშვიდობიანი და იდეოლოგიური ბრძოლის, კონცეფცია არ არსებობს. ივანიშვილის გამოჩენის ინტერპრეტაციაც ნაცნობი პოლიტიკურ-კულტურული კლიშეებით ხორციელდება. ხელისუფლების მხარდამჭერების უმრავლესობას ჰგონია, რომ ეს ერთი პოლიტიკური ძალის მეორე ძალით (რომელიც შესაძლოა რუსეთთანაც იყოს დაკავშირებული) აბსოლუტურ ჩანაცვლებას ნიშნავს, სადაც ადგილი განსხვავებული აზრისთვის და რეალური კონკურენციისთვის აღარ დარჩება; ოპოზიციის ბევრი მხარდამჭერი კი თვლის, რომ როგორც იქნა, მოვიდა სააკაშვილის რეჟიმზე შურისძიებისა და ქვეყნის პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლის დრო.

ქართული პოლიტიკური, სამოქალაქო და კულტურული აზროვნებისთვის დემოკრატიის იდეა უცხოა. როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი, ისე ოპოზიციონერი ამომრჩევლისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შესაძლებელია ორი მეტნაკლებად თანაბარი ძალის ძალაუფლების ცენტრი ერთდროულად არსებობდეს და ეს სახელმწიფო გადატრიალებაში, ან სამოქალაქო ომში არ გადაიზარდოს.

რა თქმა უნდა, მართლაც ჩნდება კითხვები, თუ რამდენად გულწრფელია ბიძინა ივანიშვილის დემოკრატიული სენტიმენტები, არის თუ არა ქართველი მილიარდერი რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან დაკავშირებული და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საქმის დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

დემოკრატია არ არის არც დაპირება და არც პროექტი, რომელსაც წინასწარ გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ. თავად სააკაშვილიც ხომ „ვარდების რევოლუციამდე“ დემოკრატიულ ცვლილებებს გვპირდებოდა, მაგრამ შედეგად მივიღეთ გაძლიერებული აღმასრულებელი ხელისუფლება, ლამის ერთპარტიული პარლამენტი და პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალოვანი სტრუქტურები.

ივანიშვილის გამოჩენა მხოლოდ იმიტომ შეიძლება მივიჩნიოთ პოზიტიურ გარღვევად, რომ ეს საშუალებას მისცემს ქართულ საზოგადოებას გამოსცადოს საკუთარი თავი – ის, თუ რამდენად შეუძლია ცივილიზებური დიალოგი და არჩევნებით ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება (მომდევნო არჩევნებზე თუ არა, მის შემდგომ გამართულ არჩევნებზე მაინც და ა.შ.).

დაბოლოს, შემოგთავაზებთ სამ მიზეზს, თუ რატომ სჯობია ავტორიტარიზმს დემოკრატია.

პირველი, დემოკრატიის და სხვადასხვა ძალაუფლების ცენტრს შორის კონკურენციის პირობებში, კანონის უზენაესობა ორი ან მეტი ძლიერი, კონკურენტული მხარის მიერ არის გარანტირებული. ეს არის ერთგვარი „შემოწმებისა და ბალანსის“ მექანიზმი, რომელიც მხარეებს აიძულებს, დაემორჩილონ წინასწარ შეთანხმებული სამართლებრივი თამაშის წესებს.

ამგვარი კონკურენციის პირობებში, შესაძლოა „დიდმა ფულმა“ პოლიტიკური კულტურა მაინც დაამახინჯოს (როგორც ეს, მაგალითად, ამერიკაში ხდება), მაგრამ იმის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, რომ პოპულარულმა სახალხო მოძრაობამ სამართლებრივი და მშვიდობიანი გზებით მიაღწიოს წარმატებას.

დემოკრატიის პირობებში წინა პლანზე გამოდის იდეებისა და იდეოლოგიების და არა ხისტი ძალის და ფინანსური რესურსების საკითხი. ასეთ პირობებში ყალიბდება პოლიტიკური პრინციპები და პოლიტიკური ორიენტაციები, რაც საბოლოო ჯამში, განათლების დონის ზრდასთან ერთად, აუმჯობესებს ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო კულტურას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეუძლებელია წინასწარ იმის თქმა, თუ რამდენად მოასწავებს ჯერ კიდევ ნახევრად მითოლოგიური პერსონაჟის – ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა საქართველოში პოლიტიკური პროცესების გამოცოცხლებასა და, მით უმეტეს, დემოკრატიული რეჟიმის დამყარებას. ჩემი აზრით, სამოქალაქო საზოგადოების პოზიციიდან, ასეთ ცვლილებებს დადებითად უნდა შევხვდეთ და პოლიტიკური სტატუს კვოს შეცვლის დინამიკას ყურადღებით დავაკვირდეთ.

ტიმოშენკოს საქმე

ტიმოშენკოს განაჩენს აკრიტიკებს ყველა – აშშ, ევროპა, რუსეთი. რის მიღწევა სურს იანუკოვიჩს?

ტატიანა გოვერა, კიევი

ფოტო: კონსტანტინე ჩერნიჩკინი / REUTERS

ოპოზიციონერი დეპუტატები უკრაინის რადაში, 6 სექტემბერი 2011

კიევის პეჩორის სასამართლომ უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, იულია ტიმოშენკოს, რუსეთთან დადებული გაზის ხელშეკრულების გამო შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ დაადგინა, რომ შეთანხმება, რომელიც ტიმოშენკომ „გაზპრომთან“ 2009 წელს დადო, აზარალებდა უკრაინის სახელმწიფო ინტერესებს.

უკრაინის ყოფილი პრემიერი სასამართლო დარბაზიდან ხელბორკილების გარეშე გაიყვანეს. იგი გადაღლილი ჩანდა. ეტყობა, მაინც ჰქონდა იმედის პატარა ნაპერწკალი, რომ გაათავისუფლებდნენ. როცა ტიმოშენკო დარბაზს ტოვებდა, ვიღაცამ დაიყვირა „სირცხვილი ამ ხელისუფლებას! რაც ტიმოშენკოს გაუკეთეს, ყველას იგივეს გაგვიკეთებენ!“

უკრაინის ექს-პრემიერმა, ოდესღაც ქვეყნის ყველაზე ძლევამოსილმა ქალმა, 7 წელი უნდა გაატაროს ციხეში. სამი წლის განმავლობაში მას სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ეკრძალება. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ექს-პრემიერმა უკრაინულ სახელმწიფო კომპანიას, „ნავთოგაზს“ 188 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მთავარი პოლიტიკური ოპონენტის მოშორებით იანუკოვიჩმა ბრძოლის ველი გაითავისუფლა, მაგრამ, დიდი ხნით კი?

ბოლო წლების ისტორია მოწმობს, რომ უკრაინაში ყველაფერი ასე ადვილი როდია. არც ისაა გამორიცხული, ისტორია უკუღმა შემოტრიალდეს.

შესაძლოა, პრემიერი ტიმოშენკო არ იყო უბადლო რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსი, მაგრამ დღეს იგი წამებულია და მის წარსულ ცოდვებს არავინ გაიხსენებს. როგორც ერთმა რუსმა მიმომხილველმა თქვა, არ არის გამორიცხული, იანუკოვიჩმა, რომელსაც ახლა პატიმარი ტიმოშენკო ჰყავს, მალე ციხიდან გამოსული ნელსონ მანდელა მიიღოს.

როდესაც ტიმოშენკომ განაჩენი მოისმინა, იგი ადგა და თქვა, რომ „უკრაინა 1937 წელში დააბრუნეს“. „ჩვენ ვიბრძოლებთ და დავიცავთ ჩემს პატიოსან სახელს!“ – განაცხადა ტიმოშენკომ, რომელიც განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურგში აპირებს.

მანამდე განაჩენი სააპელაციო სასამართლოში უნდა გაასაჩივრონ. საბოლოო გადაწყვეტილებამდე ტიმოშენკო საგამო-

ძიებო იზოლატორში დარჩება.

როდესაც მოსამართლე როდიონ კირეევი განაჩენს კითხულობდა, მან წაიკითხა ასევე უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს ჩვენებაც. იუშენკო ტიმოშენკოს თავის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მტრად და „ნარინჯისფერი იდეების“ მოღალატედ მიიჩნევს. უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ რუსეთთან გაფორმებულმა გაზის ხელშეკრულებამ „უკრაინის დესტაბილიზაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა“.

განაჩენის გამოტანის დღეს სასამართლო შენობასთან ერთდროულად ორი მიტინგი მიმდინარეობდა – უკრაინის ყოფილი პრემიერის მომხრეებისა და მისი მოწინააღმდეგეების.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ტიმოშენკოს 7-წლიანი სასჯელი მიუსაჯეს, ლედი იუ-ს მომხრეები პოლიციის კორდონის გარღვევას და სასამართლოს შენობაში შეჭრას შეეცადნენ.

იანუკოვიჩს უნდა სცოდნოდა, რომ სადაც არ უნდა იყოს იულია ტიმოშენკო, ფაქტია, ის ყოველთვის მოახერხებს პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში ყოფნას.

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ამბობს, რომ ტიმოშენკოს განაჩენი კანონის ფარგლებში გამოუტანეს, თუმცა ის ჯერ არ არის საბოლოო.

„წინ კიდევ სააპელაციო სასამართლოა,“ – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ „ტიმოშენკოს საქმე“ უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას წინამორბედისგან მემკვიდრეობად ერგო.

ტიმოშენკოს განაჩენი ის საკითხია, რომელიც აშშ-მ, რუსეთმა და ევროკავშირმა ერთხმად გააკრიტიკეს. ტიმოშენკოს განაჩენის წინააღმდეგ გამოდიან ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტიმოშენკოს საქმეს „პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა. „ტიმოშენკოს წინააღმდეგ ბრალდებები, პროცესის მიმდინარეობა იწვევს სერიოზულ შეშფოთებას უკრაინაში დემოკრატიის ხარისხთან და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით,“ – აღნიშნულია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყებამ ტიმოშენკოს განაჩენში „ანტირუსული ქვეტექსტი“ წაიკითხა:

„სინამდვილეში, ტიმოშენკო გაასამართლეს რუსულ „გაზპრომსა“ და უკრაინულ „ნავთოგაზს“ შორის ამჟამადაც მოქმედი შეთანხმების გამო, რომელიც დადებულია უკრაინისა და რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად“, – აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

„სამწუხაროდ, ვერდიქტმა დაადასტურა, რომ სამართალი შერჩევით გამოიყენეს პოლიტიკური მოტივებისთვის, ოპოზიციონერი ლიდერებისა და ყოფილი მთავრობის წევრების წინააღმდეგ“, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საკითხებში კეტრინ ეშტონმა.

ბარონესა ეშტონის სამდივნოში ასევე აცხადებენ, რომ ევროკავშირმა, შესაძლოა, გადახედოს თავის კეთილგანწყობილ პოლიტიკას უკრაინის მიმართ.

ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო ამნისტიამ“ მოუწოდა უკრაინის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყოფილი პრემიერი.

ტიმოშენკო დღეს იანუკოვიჩის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ელექტორატისთვის კვლავ მთავარ ფიგურად რჩება.

„უკრაინის დემოკრატიული წრის“ გამოკითხვის თანახმად, უკრაინელთა 53,5 პროცენტი ფიქრობს, რომ „ტიმოშენკოს საქმე“ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის წინააღმდეგ წამოწყებული პოლიტიკური დევნაა.

ტიმოშენკომ ექს-პრემიერ იუშენკოს საკმაოდ ბევრი პრობლემა შეუქმნა და აშკარაა, რომ იანუკოვიჩს არ სურს, იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

იანუკოვიჩისთვის ახლა მთავარი საპარლამენტო არჩევნების მოგება და ხელისუფლების შენარჩუნებაა, თუმცა როგორც უკრაინელი პოლიტოლოგი ვადიმ კარასევი ამბობს, მას მაინც არა აქვს ისეთი რეიტინგი, რომ ძლიერი ავტორიტარული მოდელი შექმნას. სოციოლოგიური გამოკითხვებით, იანუკოვიჩის რეიტინგი რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე დაეცა. მას დღეს 13,4 პროცენტი უჭერს მხარს, ტიმოშენკოს – 9.6.

ტიმოშენკოს განაჩენი იანუკოვიჩს ქულებს საერთაშორისო არენაზეც ვერ მოუტანს და ქვეყნის იმიჯზეც ძალიან ნეგატიურად იმოქმედებს.

შეთანხმება, რომლის გამოც ტიმოშენკო გასამართლდა, ხელმოწერილია 11 წლით და გულისხმობს 1000 კუბური მეტრი გაზის 450 დოლარად შეძენას.

ამ შეთანხმების გადახედვა მნიშვნელოვნად აზარალებს უკრაინის იმიჯს – არავინ მოისურვებს ხელშეკრულების გაფორმებას სახელმწიფოსთან, რომლის ხელისუფლება წინა კანონიერი პრემიერის მიერ ხელმოწერილ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებს აუქმებს.

ამდენად, იანუკოვიჩი ვა-ბანკზე მიდის, როდესაც ტიმოშენკოს საქმეზე 7-წლიანი განაჩენი გამოაქვს და რუსეთს გაზის შეთანხმების გაუქმებით ემუქრება. მოსკოვი ჯერ არ არის მზად, კომპრომისზე წავიდეს და, ალბათ, ამას არც გააკეთებს, ვიდრე უკრაინული მხრიდან უფრო მნიშვნელოვან დათმობებს არ მიიღებს.

იანუკოვიჩი ვა-ბანკზე მიდის, როდესაც ტიმოშენკოს საქმეზე 7-წლიანი განაჩენი გამოაქვს და რუსეთს გაზის შეთანხმების გაუქმებით ემუქრება. მოსკოვი ჯერ არ არის მზად, კომპრომისზე წავიდეს და, ალბათ, ამას არც გააკეთებს, ვიდრე უკრაინული მხრიდან უფრო მნიშვნელოვან დათმობებს არ მიიღებს.

ფოტო: დავით გარიანი/ეპიტროპე / REUTERS

ივანიშვილის პირველი პოლიტიკური ნაბიჯები

ქართველი ოლიგარქი ჩრდილიდან გამოდის.

მაია წიკლაური

„გამხდარი კაცია, მომწვანო თვალებით და წაბლისფერი, ოდნავ ჭაღარაშერეული თმით. იტალიური კოსტუმი ეცვა და Rado-ს ფირმის საათი ეკეთა“, – ასე აღწერს სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტი საქართველოში ყველაზე მდიდარ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს.

„როიტერის“ ვიდეოინტერვიუ, რომელიც 17 ოქტომბერს გავრცელდა, ივანიშვილის 50-მილიონიან სასახლეშია ჩაწერილი.

ქართველი ოლიგარქი სადა ფერებში გაწყობილ, მინებიან ოთახში ნაცრისფერ დივანზე ზის, ფეხი ფეხზე გადაუდია, ლაპარაკისას ხელებს იშველიებს და მეტი დამაჯერებლობისთვის საუბარს თავს აყოლებს.

ინტერვიუს დროს საკმაოდ თავშეკავებულია, ცოტას ღელავს. იგრძნობა, რომ ჟურნალისტებთან და ტელეკამერებთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვს.

„შეიძლება ევროპაც გავაოცო, ისეთი დემოკრატია შევქმნა საქართველოში. ისეთი ჭეშმარიტი დემოკრატია, რომ ევროპელებსაც კი გაუჩნდეთ სურვილი ინვესტიციების ჩადების“, – ამბობს ბიძინა ივანიშვილი თავის პირველ სატელევიზიო ინტერვიუში, რომელიც მან საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „როიტერს“ მისცა. ინტერვიუ ქართულ ენაზე ჩაიწერა.

ივანიშვილი ქართველ ხალხს ყველა პრობლემის მოგვარებას ჰპირდება. იგი აქცენტს ქვეყნის ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებასა და საგარეო პოლიტიკაზე, კერძოდ რუსეთთან დიალოგზე აკეთებს.

„მე აუცილებლად გავაკეთებ; მე მივაღწევ, რაც დაგეგმილი მაქვს; დარწმუნებული ვარ, პარლამენტში 90-პროცენტიანი უმრავლესობით მოვალთ; მე ვიცი, როგორი გარემო უნდა ბიზნესმენს და მე მას შევქმნი უნიკალურს“, – მსგავსი თავდაჯერებული ფრაზები „როიტერის“ მიერ გავრცელებულ ოთხწუთნახევრიან ინტერვიუში ბევრია. აშკარაა, რომ აქამდე იდუმალებით მოცული მეცენატი, რომლის სიმდიდრესა და ქველმოქმედებაზე საქართველოში ლეგენდები და მითები დადიოდა, ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, რომ მართლაც ყოვლისშემძლეა, რომელსაც რეალურად აქვს ძალა, ქვეყანაში ვითარება შეცვალოს.

მწერალი ბასა ჯანიკაშვილი, რომელიც რამდენჯერმე იყო ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე, ამბობს: „ძალიან ჯანსაღი ადამიანია, ყურადღებით ისმენს კრიტიკულ აზრს. როდესაც ჩვენ მივედით მასთან ბიზნეს-ცენტრში, ვუთხარით – ჩვენ მოვედით იმიტომ, რომ გეკამათოთ და გაგიზიაროთ ჩვენი კრიტიკული შეხედულებები. მან გვიპასუხა – მე არ ვარ ღმერთი, ან ადამიანი, რომელიც შეცდომებს არ უშვებს“.

ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ხელს ვერ შეუშლის მიზნის მიღწევაში. და თუკი არ მისცემენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, არჩევნები „არალეგიტიმური“ იქნება. „რადგან გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში!“, – განაცხადა მან 12 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში.

ოლიგარქის ვიდეოინტერვიუს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ უკვე რამდენიმე დღეა დიდი ინტერესით ელიან.

5 ოქტომბერს ივანიშვილმა გაავრცელა განცხადება, რომ ქართულ პოლიტიკაში მოდის. ბიზნესმენმა თქვა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, სააკაშვილის ხელისუფლებას დაამარცხებს და სამი წლის შემდეგ პოლიტიკას დატოვებს. ამ განცხადებამ ყველა გამოაფხიზლა – სუსტი ქართული ოპოზიცია და ხელისუფლებაც, რომელიც დღითიდღე უფრო ავტორიტარული ხდება.

ივანიშვილი ბრიტანულ სააგენტოს უყვება, რომ პოლიტიკაში წასვლა რამდენიმეკვირიანი „აუტანელი ეჭვების“ შემდეგ გადაწყვიტა: „ბოლო წუთამდე ვმერყეობდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი პოზიცია დღითიდღე განმტკიცდება მაშინ, როდესაც მათი (ხელისუფლების) შესუსტდება“.

ივანიშვილის პოზიციები ამ ეტაპზე საკმაოდ დამაჯერებელია. 5 ოქტომბრის შემდეგ ქართული შიდა პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ბოტანიკურ ბაღში მდებარე ოლიგარქის რეზიდენცია გახდა.

შუშითა და მეტალით ნაგებ გრანდიოზულ სასახლეში შედიან და გამოდიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, მწერლები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ადამიანები. პოლიტიკური და საზოგადოებრივი სპექტრი დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი – ივანიშვილის მიერ გამორჩეულებად, მის სასახლეში ნამყოფებად და ივანიშვილის მიერ უარყოფილებად.

ბოლო დღეების მთავარი პოლიტიკური დისკუსიაც ივანიშვილის გარშემო ტრიალებს. რადიო და ტელე გადაცემებში მოწვეული სტუმრები ივანიშვილის პოლიტიკური მიზნების გამოცნობას ცდილობენ, მის სამომავლო გეგმებს პროგნოზირებენ; მსჯელობენ, ვის და რატომ დაუძახა თავის გუნდში და ვის და რატომ – არა. მასზე საუბრობენ საზოგადოებრივ ტრანსპორტშიც, სოფლის ბირჟაზეც და

მოდურ თბილისურ წვეულებებზეც. ივანიშვილის რეპერ შვილს – ბერას „ფეისბუკზე“ 152 ათასი მხარდამჭერი ჰყავს, უფრო მეტი, ვიდრე ამავე სოციალურ ქსელში კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს – ყველა გამოკითხვებით საქართველოში ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას.

საპარლამენტო არჩევნებამდე, რომლისთვისაც ივანიშვილი ემზადება, ერთი წელია დარჩენილი. შეძლებს კი ის ამ პოპულარობის შენარჩუნებას და ქვეყნის შიდა პოლიტიკური პროცესების ბოლომდე მართვას?

მთავარი კითხვები, რომლებიც ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის დღეს გაჩნდა, დღემდე უპასუხოდ რჩება.

ყველაზე მეტი კითხვა ბიზნესმენის გამოჩენისას მის საგარეო კურსთან დაკავშირებით გაჩნდა. „როიტერის“ ინტერვიუმდე ივანიშვილს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ არცერთ განცხადებაში მან რუსეთს ოკუპანტი არ უწოდა და არ ახსენა სიტყვა ოკუპაცია. მმართველი გუნდი და ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ივანიშვილს ღიად უწოდებდა პრორუსულ ძალასა და პუტინის პროექტს.

„როიტერთან“ ინტერვიუში ბიზნესმენმა ხელისუფლების ბრალდებების გაქარწყლება სცადა. მან რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ „გაუგონარ“ აგრესიაში დაადანაშაულა. ასევე აღნიშნა, რომ კონფლიქტის პროვოცირება სააკაშვილის უგუნური პოლიტიკის გამო მოხდა.

თავის ინტერვიუში ივანიშვილმა საკმაოდ ბევრი ისაუბრა რუსეთზე.

მან აღნიშნა, რომ საქართველომ, რომელიც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ხელს უშლის, უნდა გამოძებნოს როლი, რომელიც „კომფორტული იქნება შეერთებული შტატებისა და ევროპისთვის და მისაღები რუსეთისთვის“.

ივანიშვილი აცნობიერებს, რომ თუ ხელისუფლებაში მოვა, ვლადიმირ პუტინთან მოუწევს თანამშრომლობა.

„მე არ მაქვს არჩევანი. ვისაც აირჩევს რუსი ხალხი, მე იძულებული ვიქნები, მასთან დავჯდე მაგიდასთან და დავალაგო ურთიერთობა. დიდი ალბათობით, ეს იქნება პუტინი. რუსებს მოსწონთ ეს კაცი და ეს მათი საქმეა, თუმცა, რა თქმა უნდა, ევროპისთვისაც, ამერიკისთვისაც, ცივილიზებული სამყაროსთვის უფრო დემოკრატიული რუსეთი იქნებოდა საინტერესო“, – განაცხადა ივანიშვილმა. იგი ვარაუდობს, რომ „რუსეთის მომავალი მთავრობა დაიწყებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, შეეცდება დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და რეალური დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას“.

რუსეთთან კავშირის გასაწყვეტად ივანიშვილი უარს ამბობს რუსეთის მოქალაქეობაზე და რუსეთში თავისი ბიზნეს აქტივების გაყიდვას აპირებს:

„როგორც გაიყიდება, ისე უნდა გავყიდო. იძულებული ვარ და გასაგებია, რომ არავინ არ დამზოგავს და გასაგებია, რომ მინიმალურ ფასებში მომიწევს ყველაფრის გაყიდვა“.

ქვეყნის შიგნით ოლიგარქი, პირველ რიგში, დემოკრატიის გაძლიერებას აპირებს. ამისათვის იგი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში 90-პროცენტიანი უმრავლესობით მოსვლასა და პრემიერ-მინისტრობას გეგმავს.

„მე ვიცი, რომ მას [სააკაშვილს] ხელისუფლებაში დარჩენა უნდა. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ!“, – განაცხადა ივანიშვილმა “როიტერთან“ ინტერვიუში.

თუმცა, ამ გრანდიოზული გეგმების ასრულებაში ბიზნესმენს, შესაძლოა, დაბრკოლება შეექმნას. ხელისუფლებამ ოლიგარქს საქართველოს მოქალაქეობა უკვე ჩამოართვა, რაც მის პოლიტიკურ ამბიციებში, სავარაუდოდ, კორექტივებს შეიტანს.

მოქალაქეობის არქონის გამო 55 წლის

დაახავეს "ქართუ ჯგუფის" თანამშრომლები

2011 წლის 18 ოქტომბერს ივანიშვილის პრეს-სამდივნომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ღია, აგრესიული და კრიმინალური შეტევა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“. სამდივნოს ცნობით, „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისიდან გამოსულ ბანკ „ქართუს“ინკასაციის მანქანას თავს ძალოვანი უწყების თანამშრომლები დაესხნენ.

„სპეცდანიშნულებისა და პოლიციის თანამშრომლებმა იარაღისა და ძალის გამოყენებით დააკავეს ბანკი „ქართუს“ ექვსი თანამშრომელი და წაიყვანეს ბანკის კუთვნილი ინკასაციის მანქანა, რომელსაც გადაჰქონდა „ქართუს“ საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით თანხა. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ აქტს. ქმედება განხორციელებულია საქართველოს კონსტიტუციისა და ყველა საერთაშორისო ნორმის ფეხქვეშ გათელვით“,– წერია განცხადებაში.

დაკავებული არიან ბანკი „ქართუს“ თანამშრომლები, მოლარეები – ინგა ჯავახია, ირმა თეთიშვილი, ლია მაღრაძე, ნატო დავითულიანი, ინკასატორები – არჩილ ჯაფარიშვილი და ზაზა ყაველაშვილი. ბიძინა ივანიშვილის გუნდი მათ სასწრაფოდ გათავისუფლებას და ბანკი „ქართუს“ ქონების დაბრუნებას მოითხოვს. ივანიშვილის გარემოცვამ ამ ფაქტს „პოლიტიკური ნიშნით უპრეცედენტო დევნა“ უწოდა.

ამ განცხადების პარალელურად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა, რომ „ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულის გათეთრების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ თან დიდი ოდენობით ნაღდი ფული ჰქონდათ. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 194-ე მუხლით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება).

ბიზნესმენი საარჩევნო პროცესში ვერ ჩაერთვება, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მას არ ექნება უფლება დააარსოს პარტია, ან მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში. კანონის თანახმად, თუ პირს აქვს სურვილი, რომ კენჭი იყაროს პრეზიდენტად, ის, მინიმუმ, 35 წლის უნდა იყოს და ბოლო 5 წელი საქართველოში უნდა ცხოვრობდეს. პარლამენტის წევრად კენჭისყრა საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, თუკი ის 25 წლისაა, ფლობს ქართულ ენას და ბოლო ათი წელია, ცხოვრობს ქვეყანაში. პრემიერ-მინისტრისათვის კი აუცილებელი პირობაა, რომ მას არ ჰქონდეს ორმაგი მოქალაქეობა.

საქართველოს მოქალაქეობის გარეშე ივანიშვილს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაც გაუჭირდება. საქართველოს კანონმდებლობით, მოქალაქეობის არმქონე პირი ასევე ვერ იქნება პოლიტიკური პარტიის შემომწირველი.

თუმცა, ივანიშვილისთვის ყველაფერი ასე ცუდად როდია.

ოლიგარქს პოლიტიკაში ფულის ჩასადებად და პარტიების დასაფინანსებლად სხვა ხერხების გამოძებნაც შეუძლია.

თუ ივანიშვილის მიერ დაფინანსებული პოლიტიკური გუნდი მართლაც გაიმარჯვებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ბიზნესმენს დიდი შანსი აქვს, პრემიერი გახდეს.

გუნდი, რომლის დაფინანსებას და პარლამენტში უმრავლესობით მოყვანას ივანიშვილი აპირებს, ჯერ გამოკვეთილი არ არის, მაგრამ გარკვეული კონტურების გარჩევა უკვე შეიძლება.

გასულ კვირას ბოტანიკურ ბაღში მდებარე სასახლეს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“ და „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები.

შეხვედრის შემდეგ ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ „პრინციპულად დაემთხვა მათი და ივანიშვილის შეხედულებები და აპირებენ, სამომავლოდაც ითანამშრომლონ ბიზნესმენთან“.

ყველაზე კონკრეტული გეგმები ივანიშვილთან დაკავშირებით „თავისუფალ დემოკრატებს“ აქვთ. მათი ლიდერი ირაკლი ალასანია ივანიშვილს 17 ოქტომბერს

■ საქართველოს მოქალაქეობის გარეშე ივანიშვილს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაც გაუჭირდება. მოქალაქეობის არმქონე პირი ასევე ვერ იქნება პოლიტიკური პარტიის შემომწირველი.

ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲑᲔᲭᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ "ᲓᲘ-ᲯᲔᲘ ᲠᲔᲛᲑᲝ"

ივანიშვილის გუნდის წევრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ივანიშვილის შვილის, ბერას მეგობარი ლევან მდინარაძე (ფსევდონიმით „დი-ჯეი რემბო“) დააკავეს. პრესსამდივნოს ცნობით, მდინარაძე ბერა ივანიშვილის თაყვანისმცემლებს მუსიკალური კლიპის „ქართული ოცნების“ მაისურებს ურიგებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, ზურაბ გვენეტაძის განცხადებით, მდინარაძე ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვის გამო დაკავეს. სამინისტროში მისი დაკავება „ქართული ოცნების“ მაისურების გამო უარყვეს.

„ბერა ივანიშვილის მეგობრის ლევან მდინარაძის დაკავების ფაქტი უკვე მოწმობს, რომ ივანიშვილის ახლობლებზე და თანამოაზრეებზე ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს“, - წერია პრესსამდივნოს განცხადებაში. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბიზნესმენის „პოლიტიკური განცხადების პირველი მსხვერპლი“ საქველმოქმედო ფონდ „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი გახდა. მას ბრალად „იარაღის უკანონო ტარება“ ედება.

უკვე მეორედ შეხვდა. ალასანია ივანიშვილთან პოლიტიკური კონსულტაციების გაგრძელებას და მჭიდრო ურთიერთობას გეგმავს.

„ძალიან მინდა, რომ სწორად განვითარდეს მისი პოლიტიკაში შემოსვლის პროცესი. ჩვენ არ გვაქვს შეცდომის უფლება. ეს არის შანსი ქართული საზოგადოებისთვის, მოქალაქეებისთვის, ვისაც ცვლილება რეალურად უნდა და სჯერა, რომ ეს ხელისუფლება კონსტიტუციური არჩევნების გზითაა შესაცვლელი. ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთობლივად უნდა ვითანამშრომლოთ, მაგრამ ყველა ასპექტი ჩვენი ნაბიჯის, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი წინასწარ უნდა იყოს გათვლილი,“ – ამბობს ირაკლი ალასანია. იგი გამორიცხავს ივანიშვილის რაიმე კავშირს კრემლთან: „არანაირი საფრთხე, რომ ივანიშვილი რუსეთიდან იყოს მართული, არ არის. მე გამოვრიცხავ, რომ დღეს მისი პოლიტიკაში მოსვლა ნაკარნახევი იყოს რომელიმე უცხო ქვეყნის დედაქალაქიდან. ეს მისი გადაწყვეტილებაა და მე მჯერა ამისი. მჯერა, რომ ეს არის ადამიანი, კაცი, რომელიც თავის სიტყვას და პარტნიორებთან ურთიერთობას პატივს სცემს“, – განაცხადა ალასანიამ „ლიბერალთან“ საუბარში.

ივანიშვილმა ჯერ კიდევ თავის წერილობით განცხადებებში გამოაქვეყნა იმ პარტიების სია, ვისთანაც პრინციპულად არ აპირებს თანამშრომლობას. მათ შორის აღმოჩნდნენ „ქრისტიან-დემოკრატები“, „ლეიბორისტები“, „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“, „ქართული პარტია“, გია თორთლაძის და პაატა დავითაიას პარტიები. მათ ბიზნესმენმა ფსევდოოპოზიციური პარტიები უწოდა.

დანარჩენ პარტიებზე ივანიშვილმა „როიტერთან“ ინტერვიუშიც ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს დაქსაქსული ოპოზიციის „ჯანსაღ“ ელემენტებს გააერთიანებს“ და მომავალი წლის შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილის მმართველ პარტიას დაამარცხებს.

„მინიმუმ 90 პროცენტიანი დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას

მოვიპოვებთ“, – განაცხადა ივანიშვილმა.

თუმცა, ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ყველა პოლიტიკოსი აზუსტებდა, რომ პოლიტიკურ ბლოკზე, ან პარტიების გაერთიანების რაიმე ფორმაზე ჯერ საუბარი არ ყოფილა. უცნობია, რა ფორმით აპირებს ივანიშვილი პოლიტიკური ძალების გაერთიანებას და არც ის უთქვამს, შექმნის, თუ არა საკუთარ პარტიას.

მისი გარემოცვიდან საზოგადოებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ადამიანია ცნობილი: მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით „მე-9 არხის“ ყოფილი დირექტორი ირაკლი ტრიპოლსკი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით – ზურაბ ბიგვავა, რომელიც ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური მრჩეველი იყო, შემდეგ კი ნინო ბურჯანაძის გუნდში ირიცხებოდა. ივანიშვილთანაა ასევე პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი, რომელიც ივანიშვილის მრჩეველის ფუნქციებს შეასრულებს. ასევე „ეროვნული ფორუმის“ წევრი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტი იქნება.

ასევე ცნობილია, რომ ივანიშვილი მრჩეველთა ჯგუფის შექმნას აპირებს, რომელიც სავარაუდოდ, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეებით დაკომპლექტდება. მათ შორის, რადიო „უცნობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მფლობელი, მწერალი ბასა ჯანიკაშვილი იქნება. „ეს არის ზოგადი ჯგუფი, რომელიც ზოგად საკითხებზე იმუშავებს. ჯგუფის ძირითადი ფუნქცია მიმდინარე მოვლენების შეფასება და მოსალოდნელი რისკების განჭვრეტა იქნება. ჩვენ გვექნება კავშირი, როგორც პოლიტიკურ, ისე საერთაშორისო თემებთან. ამ ჯგუფში არიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი მოღვაწეობით დაამტკიცეს, რომ იდეისთვის, რომელსაც საქართველოს სიყვარული ჰქვია, არ უღალატიათ,“ – განმარტავს ჯანიკაშვილი და ივანიშვილთან სტუმრობის ერთ დეტალს იხსენებს: „შეხვედრაზე ვისხედით მე, ზაზა შათირიშვილი, რატი ამაღლობელი, ირაკლი სესიაშვილი, ზურაბ ბიგვავა. თავიდან კი შევთანხმდით კამათის დემოკრატიულ წესებზე, მაგრამ ცოტა ხანში ყველამ ჩვენთვის დავიწყეთ ჩვენი აზრის მტკიცება. ბიძინაც შემოვიდა და ჩაგვერთო, უცებ თვითონაც აყვირდა. ჩვენ უცებ გავჩერდით და თვითონაც გაჩუმდა, რაღაც არათანაბარ მდგომარეობაში იგრძნო თავი, რომ მის ხმამაღალ სიტყვაზე გავჩუმდით. მერე გვითხრა, რომ ხანდახან მეც ვიყვირებ, როგორც თქვენ და ეს ჩვეულებრივ ამბად უნდა აღიქვათო“.

ჯანიკაშვილთან ერთად მრჩეველთა ჯგუფში რატი ამაღლობელი, ირაკლი სესიაშვილი, ზაზა შათირიშვილი და გიორგი მარგველაშვილიც მოიაზრებიან.

14 ნოემბერს „იუთუბზე“ აიტვირთა ივანიშვილის შვილის, ბერას კლიპი „ქართული ოცნება“, რომელიც ბერამ მამის პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას მიუძღვნა. 3 დღეში კლიპი „ფეისბუკზე“ 8 ათასმა ადამიანმა მოიწონა, „იუთუბზე“ კი 40 ათასამდე მომხმარებელმა ნახა.

კლიპი, რომელსაც ათასზე მეტი კომენტარი აქვს, სადაც მამა-შვილს ხოტბას ასხამენ, ამ წარწერით მთავრდება: „შიშისა და ჩურჩულის დრო დამთავრდა – ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოსა და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სათქმელი. ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“, – ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო! – ბიძინა ივანიშვილი“.

ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრები კიდევ გაგრძელდება. ის ადამიანები, ვინც მას წინა კვირის განმავლობაში შეხვდნენ, აღნიშნავენ, რომ ივანიშვილს განსაკუთრებული პიროვნული ხიბლი აქვს: „პრინციპული ადამიანია და დარწმუნებულია საკუთარ თავში“, „ამბობს, რომ შეუძლია ადამიანების გამოცნობა და კარგი მენეჯმენტით წარმატების მიღწევა, თანაც ცდილობს გაგრძნობინოს ეს საუბარში“, „მზადაა გვერდით დაგიყენოს, ოღონდ ყოველთვის დაინტერესებული იქნება შენი საქმიანობით და შეგამოწმებს“, „გამიგია, რომ ძალიან ეჭვიანია. მგონი, სწორედ ეს გახდა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის განხეთქილების მიზეზი. მიშა არ ეუბნებოდა, რაში ხარჯავდნენ მის ფულს“.

ჰიეზიდენტის ჰიეს-სპიტეჩი ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს ბამოეხმაუჩა

პრეზიდენტ სააკაშვილის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ 18 ოქტომბერს განაცხადა, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გადაწყვეტილება სამართლებრივად მოტივირებული იყო.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყველა საკითხი სამართლებრივად არის სრულ შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან და მიღებულ იქნა იმ დასკვნების საფუძველზე, რომელიც გაკეთდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან. ეს არის ის, რაზეც ამ ეტაპზე შემიძლია გესაუბროთ“, – განაცხადა მან და დასძინა, რომ ივანიშვილს აქვს უფლება, მოქალაქეობის მიღების თხოვნით პრეზიდენტს მიმართოს.

ის ადამიანები, ვინც მას შეხვდნენ, აღნიშნავენ, რომ ივანიშვილს განსაკუთრებული პიროვნული ხიბლი აქვს: „პრინციპული ადამიანია და დარწმუნებულია საკუთარ თავში“, „ამბობს, რომ შეუძლია ადამიანების გამოცნობა

და კარგი მენეჯმენტით წარმატების მიღწევა...“ „მზადაა გვერდით დაგიყენოს, ოღონდ ყოველთვის დაინტერესებული იქნება შენი საქმიანობით და შეგამოწმებს“, „გამიგია, რომ ძალიან ეჭვიანია“.

ხელისუფლებისთვის, რომელმაც ერთ წელიწადში, რადაც არ უნდა დაუჯდეს, საპარლამენტო არჩევნები უნდა მოიგოს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა დიდი თავის ტკივილია.

ორი წლის წინ თვითმმართველობის არჩევნებზე ხელისუფლებამ, რომელიც ყველანაირ ადმინისტრაციულ და მედია რესურსს ფლობს, დაამტკიცა, რომ მისთვის დღევანდელი ოპოზიციის დამარცხება პრობლემას არ წარმოადგენს. ამ ორი წლის განმავლობაში ოპოზიციამაც არაერთხელ აჩვენა, რომ არა აქვს პოტენციალი, დამაჯერებელი კონკურენცია გაუწიოს სახელისუფლებო მანქანას. დღეს არის დიდი შანსი, რომ ეს რეალობა შეიცვალოს.

მართალია, ივანიშვილი ადმინისტრაციულ რესურსს არ ფლობს, მაგრამ მისი 5,5 მილიარდიანი ქონება საკმარისი გარანტიაა იმისთვის, რომ მისმა პარტიამ სოლიდური წინააღმდეგობა გაუწიოს მმართველ გუნდს.

ივანიშვილი საქართველოში არც ცენტრალურ ტელევიზიას ფლობს, მაგრამ როგორც საჯარო რეესტრის მონაცემებით ირკვევა, საკაბელო კომპანია Global TV-ის 66,8 პროცენტის მფლობელი მისი ძმაა. ეს ინფორმაცია „ლიბერალს“ კომპანიის დირექტორის მოადგილემ ზურაბ ბაზლიძემაც დაუდასტურა. თუკი ივანიშვილმა ვერცერთი ქართული ტელევიზის ყიდვა ვერ შეძლო, საზოგადოებრივი „მუხტის შექმნაში“ მას Global TV-იც დაეხმარება. კომპანიას, რომელიც ქართულ ბაზარზე 2006 წლიდან არსებობს და ძირითადად თბილისს და საქართველოს რამდენიმე რეგიონს ფარავს, დღეს ბევრად მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე ინტერნეტს. „ტექნიკურად შესაძლებელია მთელი საქართველოს დაფარვა. შეუძლია სატელიტზე გავიდეს და ამ საკაბელო ტელევიზიით იმაუწყებლებს“, – ამბობს „ლიბერალის“ წყარო ივანიშვილის გუნდიდან.

ივანიშვილს დიდი სიფრთხილე მართებს ასევე პოლიტიკური ორიენტირებისა და პოლიტიკური გუნდის შერჩევაში. ბოლო წლების გამოცდილებით, ყველაზე დიდ შეცდომებს ქართველი პოლიტიკოსები, როგორც წესი, ამ ნაწილში უშვებენ.

ფოტო: დავით ჩარგეიშვილი / REUTERS

ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი

18 ოქტომბერს „ლევან მიქელაძის ფონდმა“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. შუალედურ ანგარიშში კომისიის ბოლო 1 წლის საქმიანობა კრიტიკულადაა შეფასებული. კვლევის სრული ვარიანტის ხილვა ფონდის ვებ-გვერდზე შეგიძლიათ, ჩვენ მის ერთ-ერთ ნაწილზე მოგითხრობთ.

გიორგი მგელაძე

„ლევან მიქელაძის ფონდი“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს, ირაკლი ჩიქოვანს ინტერესთა კონფლიქტში ადანაშაულებს. კვლევის მიხედვით, ირაკლი ჩიქოვანი შპს „მაგი სტილი მედია“-ს საერთო წილის 35%-ს ფლობს. „მაგი სტილი მედია“ იმ სფეროში საქმიანობს, რომლის კონტროლიც კომუნიკაციების კომისიას ევალება.

კერძოდ: აღნიშნული კომპანიის წესდების 2.2 პუნქტის თანახმად, კომპანიის საქმიანობის ძირითად მიზანს სატელევიზიო რეკლამების მომსახურება და ტელევიზიებში რეკლამების განთავსება წარმოადგენს. შპს „მაგი სტილი მედია“-ს მიერ ტელევიზიებში რეკლამების განთავსების ფაქტი მასსა და ტელევიზიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით მტკიცდება.

ამონარიდი ერთ-ერთი ხელშეკრულებიდან: „წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი“ („მაგი სტილი მედია“) იღებს ვალდებულებას, წინასწარ შეთანხმებული ტელევიზიების ეთერით განათავსოს „დამკვეთის“ მიერ მოწოდებული მზა რეკლამა. ამავე ხელშეკრულებით, „მაგი სტილი მედია“ ვალდებულია: „განათავსოს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მედია-გეგმის საფუძველზე სარეკლამო რგოლები შემდეგ არხებზე: „რუსთავი 2“, „სტერეო“, „იმედი“, „მზე“, „საქართველო“, „I არხი.“

კანონით მაუწყებლებში რეკლამის განთავსების კონტროლი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ევალება, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანი ხელმძღვანელობს. აქედან გამომდინარე, ლევან მიქელაძის ფონდის მკვლევრები შემდეგ დასკვნამდე მიდიან: „ირაკლი ჩიქოვანის შემოსავლები დამოკიდებულია ტელეკომპანიების სამაუწყებლო ბადეში შპს „მაგი სტილი მედია“-ს მიერ განთავსებული რეკლამის ოდენობაზე და აღნიშნული ტელეკომპანიების მიერ განსაზღვრული რეკლამის განთავსების ტარიფებზე, რაც ხსენებული ტელეკომპანიების მიმართ ირაკლი ჩიქოვანის ეკონომიკურ ინტერესს განაპირობებს.“

ინტერესთა კონფლიქტის არსი მაუწყებლობის შესახებ კანონში ასეა განმარტებული: კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტად ითვლება, თუ მას იმავდროულად აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურისტი კახი ყურაშვილი თვლის, რომ ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი არ დასტურდება. „ეს არ არის ინტერესთა კონფლიქტი, პირველ რიგში იმიტომ, რომ რეკლამა არ არის დარგი, რომელსაც კომისია აკონტროლებს. მეორეც, კომისიის კომპეტენცია შემოიფარგლება არა რეკლამის დამკვეთის, არამედ მაუწყებლის მიერ რეკლამის გაშვების კონტროლით. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ირაკლი ჩიქოვანი კომისიის თავმჯდომარის რანგში მისი ფირმის ინტერესებს ვერ მოემსახურება“.

იურისტები მიიჩნევენ, რომ ჩიქოვანის მიერ შპს „მაგი სტილი მედიას“ ფლობა ამ დათქმაში ჯდება. „აქ საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან. ამ შემთხვევაში, კანონით პარლამენტის სიითი შემადგენლობის 1/3-ს უფლება აქვს ამ საკითხის წამოწევის და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის, სადაც პარლამენტის წევრთა 3/5-ს თანხმობაა საჭირო, რომ ირაკლი ჩიქოვანი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდეს“, – ამბოს იურისტი თამარ კორძაია.

კვლევის ავტორების განცხადებით, ირაკლი ჩიქოვანს აქვს შესაძლებლობა, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ანუ უმოქმედობით, რეა-

ფონდის შესახებ

„ლევან მიქელაძის ფონდი“ 2 წლის წინ მოულოდნელად გარდაცვლილი დიპლომატის და პოლიტიკოსის, ლევან მიქელაძის სახელს ატარებს. ის მისი ოჯახის წევრებმა და თანამოაზრეებმა დააფუძნეს. ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული შესწავლაა. კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მონიტორინგი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ ერთად, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით მომზადდა.

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მაგი სტილი მედია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქ., №15
საიდენტიფიკაციო კოდი:	206139695
საამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	19/02/1996
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	7/4-2467
მარეგისტრირებელი ორგანო:	ისანი-სამგორის სასამართლო

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01017019853, გიორგი ყიფიანი, დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	აქციების ნომერი
01008015551, გიორგი გეგეშიძე,	49.00000000%	206139695-SH-00002
01017001148, ირაკლი ჩიქოვანი,	35.00000000%	206139695-SH-00001
208149895, შპს მაგი სტილი,	16.00000000%	206139695-SH-00003

გირების გარეშე დატოვოს ტელეკომპანიების მიერ კანონით განსაზღვრული სარეკლამო დროის ლიმიტის დარღვევის ფაქტები, რითაც ეძლევა საშუალება, გაიუმჯობესოს ან შეინარჩუნოს თავისი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ამის მაგალითად კვლევის ავტორებს „რუსთავი 2“-ის და „ტელე-იმედის“ მიერ წლების განმავლობაში სარეკლამო ლიმიტების დარღვევა მოჰყავს, რაზეც მარეგულირებელი კომისია თვალს ხუჭავდა, არადა კანონით კომისიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მაუწყებლების მხრიდან კანონის დაცვის მონიტორინგია.

ამონარიდი კვლევიდან: „კომისიისთვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება რიგი მაუწყებლების მიერ რეკლამის ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევები. კერძოდ, მიუხედავად დაკისრებული მოვალეობისა, კომისიამ ვერ ან არ დააფიქსირა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის და შპს „ტელეიმედის“ მიერ სარეკლამო ჭრისთვის დადგენილი ინტერვალის დარღვევის ფაქტები და სარეკლამო დროის ლიმიტის დარღვევის გამო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო მხოლოდ „სტუდია მონიტორი“-ს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, კომისიამ გაფრთხილება მისცა ხსენებულ სატელევიზიო მაუწყებლებს. მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს დაავალა, განეხორციელებინა სისტემატური მონიტორინგი კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა მიერ აღნიშნული მოთხოვნის დაცვაზე. კომისიის 2011 წლის 10 მაისის N 229/18 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ «რუსთავი 2» და შპს «ტელეიმედი» განაგრძობდნენ სარეკლამო ინტერვალის დარღვევას, თუმცა, კომისიამ ამავე საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო (განაახლა), რაც განმეორებითი საჩივარი კვლავ „სტუდია მონიტორმა“ წარადგინა. საჩივრის საფუძველზე, კომისიამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს და შპს „ტელეიმედს“ 2 500 ლარიანი ჯარიმა დააკისრა“.

ირაკლი ჩიქოვანი კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარედ 2009 წლის ზაფხულში დაინიშნა. ჩიქოვანის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, 2009 წელს შპს „მაგი სტილი მედიისგან“ მან მოგების სახით 17 ათას 500 ლარი მიიღო. 2010 წელს ამ კომპანიამ ჩიქოვანს 11 ჯერ მეტი მოგება, ჯამში 201 ათასი ლარი მოუტანა. რთული სათქმელია, უკავშირდება თუ არა შემოსავლების ასეთი ზრდა ჩიქოვანის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნას.

დღეს არსებული რეალობით, საეჭვოა ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტის საკითხის შესწავლით პარლამენტის წევრები დაინტერესდნენ, დღეს წევრთა 3/5-ს ხმათა შეგროვება, მხოლოდ მმართველ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია, პარლამენტში არსებული უმცირესობა ამ საკითხს ვერ წამოწევს.

საპრეზიდენტო წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები

მანანა ვარდიაშვილი

საქართველოს მთავრობამ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტს უკვე წარუდგინა. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 7 მილიარდ 623 მილიონი ლარით არის განსაზღვრული, რაც წლევანდელ ბიუჯეტს 323 მილიონით აღემატება. პროექტის თანახმად, ბიუჯეტის შემოსავლები 6.606 მლრდ ლარს, ხოლო ხარჯები – 6.131 მლრდ ლარს შეადგენს. მთავრობის პროგნოზით, 2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 3 მლრდ ლარით, 26.494 მლრდ ლარამდე გაიზრდება. ეს პროგნოზი ფინანსთა სამინისტრომ 5,5%-იანი ეკონომიკური ზრდის მოლოდინით განსაზღვრა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროებად კვლავ ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და განათლება რჩება.

2012 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი 6%-იან ინფლაციაზეა გათვლილი. ბიუჯეტი ისევ დეფიციტური იქნება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ საბიუჯეტო დეფიციტი 3.7%-დან 3.6%-მდე, ხოლო სახელმწიფო ვალის მოცულობა 40.6%-დან 39.7%-მდე მცირდება.

მთავრობა 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით 6 მლრდ 100 მლნ ლარის მობილიზებას გეგმავს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 23.1 პროცენტია. ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით 100 მლნ ლარის შემოსავლების მიღება იგეგმება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის სტრუქტურა შეცვლილია. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს მთავრობა 2012 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტზე გადადის: ბიუჯეტის პროექტსა და მის დანართებში თითოეული პროგრამის აღწერა, მიზანი, შედეგი და შეფასების ინდიკატორებია წარმოდგენილი. თუმცა, ასიგნებების ცხრილში ბევრი პროექტი დეტალურად გაწერილი არ არის.

2012-2015 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები წინა წლებთან შედარებით, ფაქტობრივად, უცვლელია. „პრიორიტეტების“ სფეროს მიკუთვნებულია ისეთი ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს ჩვეულებრივ, კანონმდებლობით განსაზღვრულ ყოველდღიურ საქმიანობას უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მიაჩნიათ, რომ 2012 წლის ბიუჯეტში მთავრობის პრიორიტეტები მკაფიოდ იკითხება: „მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები წინა წლების პრიორიტეტებისგან არ განსხვავდება. ეს არის საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოში დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებაზე, განათლებაზე და ყველა იმ მიმართულებაზე, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს“, – ამბობს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი.

პრიორიტეტული მიმართულების სამინისტროების დაფინანსება მომავალი წლიდან იზრდება.

ყველაზე შთამბეჭდავი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ასიგნებების ზრდაა. მომავალ წელს დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლევანდელთან შედარებით 153 მლნ ლარით მეტ თანხას მიიღებს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ წელს პირველად, დაფინანსება ეზრდება თავდაცვის სამინისტროს: საქართველოს სამხედრო უწყება გაისად, წლევანდელთან შედარებით, 30 მლნ ლარით მეტ თანხას მიიღებს. თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი 690 მლნ ლარიდან 640 მლნ 444 ათასი ლარი „შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნებასა და ამაღლებაზე“ დაიხარჯება. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 18 მლნ ლარით იზრდება.

30 მლნ ლარით იზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი. საპენსიო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხები წლევანდელთან შედარებით 89 მლნ ლარით იზრდება. თუმცა, პროექტში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, იგეგმება თუ არა 100-ლარიანი პენსიის კიდევ უფრო გაზრდა.

მომავალ წელს წლევანდელთან შედარებით ნაკლებ დაფინანსებას მიიღებენ: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით 888.9 მლნ ლარს მიიღებენ. აქედან 490 მლნ ლარი თბილისისთვის არის გამოყოფილი, რაც საქართველოს დედაქალაქისთვის წელს გამოყოფილ თანხას 50 მლნ ლარით აღემატება.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მომავალ წელს 599.7 მლნ ლარი დაიხარჯება. აქედან, 254.6 მლნ ლარი საბიუჯეტო სახსრები იქნება, ხოლო 345 მლნ ლარი – კრედიტებით მიღებული თანხა.

მომავალ წელს პარლამენტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და მთავრობის კანცელარიის დაფინანსება თითქმის უცვლელი დარჩება და შესაბამისად, 40.1 მლნ ლარს, 14.1 მლნ ლარს და 8.5 მლნ ლარს შეადგენს.

2012 წელს პარლამენტის არჩევნები უნდა გაიმართოს. ამიტომ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება, თითქმის სამჯერ, 37.9 მლნ ლარამდე იზრდება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" დაფინანსება წლევანდელი 45 მლნ ლარიდან 28.2 მლნ ლარამდე მცირდება. 2012 წელს საქართველოს საპატრიარქო ცენტრალური ბიუჯეტიდან 22.8 მლნ ლარს მიიღებს.

ეკონომიკის ექსპერტი დავით ნარმანია ამბობს, რომ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საბიუჯეტო პრიორიტეტები მართლაც გამოკვეთილია, მაგრამ, ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის რეალური პრიორიტეტები ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ განცხადებას არ ემთხვევა.

„ბიუჯეტის შემოსავლებთან მიმართებაში საგადასახადო შემოსავლების ზრდა შეუსაბამოდ მაღალია. ეს ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს გადასახადების ადმინისტრირება კიდევ უფრო გამკაცრდება," – ამბობს ნარმანია – „პრიორიტეტებზე დაფინანსების მხრივ ვიმსჯელოთ. იმის გამო, რომ საქართველოში ბევრი სოციალურად დაუცველი ადამიანია, სახელმწიფო ბიუჯეტის 1/3 სოციალურ დაცვაზე მოდის. მომავალი წლიდან იზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაც, რაც დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორია. ამ პროექტში არ ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება სახელმწიფოს პრიორიტეტია. გარდა იმისა, რომ პროექტში არ ჩანს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მიმართული ახალი პროექტები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეუმცირდა. სამაგიეროდ, ამ პროექტს ძალიან ეტყობა, რომ 2012 წელი საარჩევნო წელია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსებასთან ერთად გაიზარდა რეგიონალური პროგრამების დაფინანსებაც. 2012 წლის ბიუჯეტით ფინანსდება ბევრი ისეთი პროექტი, რომელთა მთავარი დანიშნულება ამომრჩევლის კმაყოფილების დონის გაზრდაა. მომავალ წელს რეგიონალური განვითარების ფონდის ბიუჯეტი 50 მლნ ლარით იზრდება. რეგიონებში განხორციელებულ და დასრულებულ პროექტებს, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიან, რაც საარჩევნოდ მმართველ ძალას მეტ აქტივს აძლევს".

სამინისტროების დაფინანსება 2012 წლის ბიუჯეტის პროექტით:

	2011 წელი	2012 წელი	სხვაობა 2011 წელთან შედარებით
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1.692 მლრდ ლარი	1.722 მლრდ ლარი	+ 30 მლნ ლარი
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	879.1 მლნ ლარი	914.771 მლნ ლარი	+ 35.671 მლნ ლარი
თავდაცვის სამინისტრო	660 მლნ ლარი	690 მლნ ლარი	+ 30 მლნ ლარი
შინაგან საქმეთა სამინისტრო	566 მლნ ლარი	584 მლნ ლარი	+ 18 მლნ ლარი
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	555 მლნ ლარი	560 მლნ ლარი	+ 5 მლნ ლარი
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	216 მლნ ლარი	369.317 მლნ ლარი	+ 153.317 მლნ ლარი
სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო	106.5 მლნ ლარი	120 მლნ ლარი	+ 13.5 მლნ ლარი
ფინანსთა სამინისტრო	204.7 მლნ ლარი	111.732 მლნ ლარი	- 92.968 მლნ ლარი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	106.3 მლნ ლარი	80.3 მლნ ლარი	- 26 მლნ ლარი
საგარეო საქმეთა სამინისტრო	73.2 მლნ ლარი	76 მლნ ლარი	+ 2.8 მლნ ლარი
იუსტიციის სამინისტრო	70.7 მლნ ლარი	74 მლნ ლარი	+ 3.3 მლნ ლარი
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	79.9 მლნ ლარი	69.85 მლნ ლარი	- 10.05 მლნ ლარი
კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	55.6 მლნ ლარი	55 მლნ ლარი	- 0.6 მლნ ლარი
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	35 მლნ ლარი	35.5 მლნ ლარი	+ 0.5 მლნ ლარი
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	40.7 მლნ ლარი	31.8 მლნ ლარი	- 8.9 მლნ ლარი
გარემოს დაცვის სამინისტრო	13.9 მლნ ლარი	14.057 მლნ ლარი	+ 157 ათასი ლარი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.6 მლნ ლარი	2 მლნ ლარი	+ 400 ათასი ლარი
რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.2 მლნ ლარი	1.2 მლნ ლარი	0
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	788 ათასი ლარი	800 ათასი ლარი	+ 12 ათასი ლარი

ოფიციალური ინფორმაცია

„დექსუსის“ მიერ საზეიმოდ გახსნილ ობიექტებს ან ბოქლომი ადევს, ან ჭერიდან წყალი ჩამოსდის.

გიორგი მგელაძე

„გიგი უგულავამ კომპანია „დექსუსის“ მიერ „დიდი დიღმის ოაზისის“ მეხუთე კორპუსის დასრულებული მშენებლობა დაათვალიერა, რომელშიც კუთვნილი საცხოვრებელი და კომერციული ფართები ოცმა მომხმარებელმა მიიღო. „დიდი დიღმის ოაზისის“ მეხუთე კორპუსი რიგით მეოთხე ობიექტია, რომელიც „დექსუსმა“ „ცენტრ პოინტის“ მართვაში აღების შემდეგ დაასრულა. მეხუთე კორპუსთან ერთად, „დიდი დიღმის ოაზისში“ უკვე დასრულდა პირველი კორპუსის მშენებლობაც და კომპანია სამშენებლო სამუშაოებს კომპლექსის დარჩენილ კორპუსებში აწარმოებს (სტილი დაცულია – რედ.)“.

ეს ჩანაწერი თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე 2011 წლის 19 აპრილს განთავსდა. იმ დღეს ყველა წამყვანმა ტელევიზიამ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ამ თემაზე სიუჟეტები მოამზადა, სადაც ქალაქის მერი „დექსუსის“ ხელმძღვანელთან ერთად მშენებლობის დასრულებას გვამცნობდა. „ეს ყველაზე რთული ობიექტია, თუ ეს დაიძრა, იმედი გვაქვს, რომ სხვებიც დაიძრება“, – ამბობდა უგულავა.

2011 წლის 10 მაისს მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე „დექსუსის“ მიერ დასრულებული კიდევ ერთი ობიექტის შესახებ გაჩნდა ინფორმაცია: „კომპანია „დექსუსმა“ კიდევ ერთი შეჩერებული პროექტის მშენებლობა დაასრულა ხოშარაულის ქუჩაზე. თბილისის მერმა გიგი უგულავამ „დექსუსის“ მიერ დასრულებული მშენებლობა დაათვალიერა, აღნიშნულ საცხოვრებელ კომპლექსში ახალი ბინებით დაკმაყოფილებულ მოსახლეობას შეხვდა და თბილისის მერიის პროექტის: „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ ახალი ეტაპის პრიორიტეტებსა და მიმდინარეობაზე ესაუბრა“.

იმ დღეს „დექსუსის“ კიდევ ერთი ობიექტის გახსნას ნაციონალურმა არხებმა ვრცელი სიუჟეტები მიუძღვნეს.

„დექსუსის“ ინფორმაცია

დეველოპერული კომპანია „დექსუსის“ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ კომპანიამ ცენტრ-პოინტისგან მიღებული 30 ობიექტიდან თბილისში მდებარე 6 ობიექტი უკვე დაასრულა. ესენია „დიდი დიღმის ოაზისის“ 1.2.5. კორპუსები, ხოშარაულის 29-ში ე.წ.

აფხაზეთის 1-ლი ბლოკი, ხოშარაულზე კომერციული ფართი – ე.წ. კინო და ვაკეში მდებარე ე.წ. შავი სახლი.

„ლიბერალი“ შეეცადა ადგილზე გადაემოწმებინა აღნიშნული ობიექტების მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ იქ ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ არის.

ვიდრე თითოეულ ობიექტს ცალ-ცალკე გაგაცნობთ, პრეისტორიას გადავხედოთ.

„ცენტრ-პოინტიდან“ „დექსუსამდე“

ერთ დროს „ცენტრ-პოინტ ჯგუფი“ საქართველოში ყველაზე მძლავრი სამშენებლო კომპანია იყო, ჯგუფის დამფუძნებლები მაია და ვახტანგ რჩეულიშვილები და დღევანდელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი არიან. კომპანიის დაღმასვლა 2008 წლიდან დაიწყო, იმ დროიდან ობიექტების აბსოლუტურ უმრავლესობაზე მშენებლობები შეჩერდა, რასაც კომპანიის დამფუძნებლები მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით და აგვისტოს ომით ხსნიდნენ. „ცენტრ პოინტის“ 6000-მდე კლიენტი უშედეგოდ ითხოვდა იმ ბინების ჩაბარებას, რომლის თანხაც წინასწარ ჰქონდა გადახდილი.

2010 წლის სექტემბერში დაზარალებულ კლიენტებს იმედი ჩაესახათ. 10 სექტემბერს სასტუმრო „რედისონში“ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებმა ხელშეკრულება გააფორმეს კომპანია „დექსუსთან“. იმ დღეს „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულმა კლიენტებმა შეიტყვეს, რომ მათ 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად დააკმაყოფილებდნენ, „დექსუსის“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ინვესტიციები უკვე მოზიდული ჰქონდათ.

რას წარმოადგენს „დექსუსი?“ შპს „დექსუსი“ 2010 წლის 23 აგვისტოს, „ცენტრ პოინტის“ ქონების გადაბარებამდე 2 კვირით ადრე დაფუძნდა, ფირმის დამფუძნებლები გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კილაურიძე და ივანე ცაგურია არიან. ფირმის საწესდებო კაპიტალი 100 ლარს შეადგენს, ოფიციალურ მისამართად კი დირექტორის გიორგი ქანანაშვილის კუთვნილი სახლია მითითებული. კომპანიის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, დამფუძნებლებს უძრავი ქონების ბაზარზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

ხელშეკრულების მიხედვით, „ცენტრ-პოინტმა“ „დექსუსი“ დაიქირავა და სამართავად გადასცა ჯგუფში შემავალი ყველა ფირმა და ამ ფირმების უძრავ-მოძრავი ქონება. ხელშეკრულების მიხედვით, „დექსუსის“ ხარჯებს და ხელფასებს „ცენტრ-პოინტი“ იხდის.

ნიშანდობლივია ის, რომ „დექსუსი“ ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ ბინებსაც კი არ უფორმებს მფლობელებს, მათ გადაფორმების სანაცვლოდ ბინის ღირებულების 18%-ს დამატებით გადახდას სთხოვენ.

დღევანდელი რეალობა

ზემოთ ჩამოთვლილი 6 დასრულებული ობიექტი ჩვენ სათითაოდ მოვინახულეთ.

დიდი დიღმის ოაზისის პირველი კორპუსი 9 სართულისგან და 4 სადარბაზოსგან შედგება, კომპანია „დექსუსმა“ კორპუსი დასრულებულად მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოაცხადა. რეალურად, კორპუსი დაუსრულებელია, იქ 5-მდე ოჯახი ცხოვრობს. კორპუსში არ არის დასრულებული კომუნიკაციების მონტაჟი, არ არის გაზი და ელექტროენერგია. არ მუშაობს ლიფტები, კედლები შეულესავია. ბინის მფლობელები ამბობენ, რომ იქ სამუშაოების აბსოლუტური უმრავლესობა „ცენტრ-პოინტის“ დროსაა გაკეთებული და „დექსუსმა“ მხოლოდ ფასადი მოაწესრიგა და სადარბაზოები შეღება. ხელშეკრულებით ბინა მეპატრონეებს გაჯით სუფთად გალესილი უნდა ჩაბარებოდათ, რის შესრულებაზეც „დექსუსმა“ უარი განაცხადა. ნიშანდობლივია ის, რომ „დექსუსი“ ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ ბინებსაც კი არ უფორმებს მფლობელებს, მათ გადაფორმების სანაცვლოდ ბინის ღირებულების 18%-ს დამატებით გადახდას სთხოვენ.

გიორგი მიქაბერიძეს ბინა პირველი კორპუსის მე-9 სართულზე ეკუთვნოდა, „დექსუსმა“ მასაც დღგ-ს გადახდა მოსთხოვა. გიორგი ამბობს, რომ სამშენებლო სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები მშენებელმა არ შეასრულა:

„რაც კორპუსი გახსნეს, სახურავიდან წყალი მას შემდეგ ჩამოვიდა, „დექსუსს“ მივაკითხეთ და გვითხრეს, რომ შეაკეთებდნენ. მართლაც შეაკეთეს, რაღაც მასა წაუსვეს, მას შემდეგ წვიმას ველოდებით, რომ შედეგი გავიგოთ. ჩვენი კორპუსი დასრულებულად არ ითვლება, მერიას ექსპლუატაციაში არ მიუღია და რეესტრშიც როგორც მშენებარე, ისეა ასახული. მერიამ ორჯერ გადაუვადა ჩაბარების ვადა, წესით 6 მაისს უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ დღესაც არაა დასრულებული“, – ამბობს მიქაბერიძე.

არჩილ ფარცვანიას საცხოვრებელი სახლიც პირველი კორპუსის მე-8 სართულზეა. პროექტის მიხედვით ეს ბოლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფარცვანიების სახლის მისაღებს ზემოდან შენობა დააშენეს, სწორედ ამ შენობის წყალობით მათი მისაღები წვიმას გადაურჩა, დანარჩენი ოთახები, ჭერიდან ჩამოსულმა წყალმა დაასველა. „არ არის, შუქი, გაზი, არ მუშაობს ლიფტი. აქ ცხოვრება შეუძლებელია. ბინებს, სხვების მსგავსად, არც ჩვენ გვიფორმებენ, ე.წ. დღგ-ს ბინის ღირებულების 18%-ს დამატებას გვთხოვენ“, – ამბობს არჩილ ფარცვანია.

ჩვენ იქვე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელსაც გავესაუბრეთ, სამუშაოთა მწარმოებელი,

რომელიც კოტედ გაგვეცნო, გვიამბობს: „არ დამიმთავრებია სამუშაოები, ლიფტი არაა, კორპუსი მოსაწესრიგებელია. ასეთს მერია არ მიიღებს კომუნიკაციების გარეშე“.

„დიდი დიღმის ოაზისის“ მე-2 კორპუსიც 9 სართულისგან და 4 სადარბაზოსგან შედგება „დექსუსის“ ვებგვერდის მიხედვით, ისიც დასრულებულია. თუმცა მთელ კორპუსში მხოლოდ ერთი – როგავების ოჯახი ცხოვრობს. „კორპუსში არაა ელ-ენერგია, ყველაზე დიდი პრობლემა კანალიზაციაა, წყალი ე.წ. შლანგით გვაქვს შეყვანილი, შუქიც დროებითია. მე სხვა საცხოვრებელი არ მაქვს და იძულებული ვარ აქ ვიცხოვრო“, – გვითხრა ასმათ როგავამ.

თბილისის მერიას ექსპლუატაციაში არც ეს კორპუსი მიუღია.

„დიდი დიღმის ოაზისის“ მე-5 კორპუსი 6 სართულისგან და 1 სადარბაზოსგან შედგება. ტელევიზიების თანხლებით ეს კორპუსი პირადად გიგი უგულავამ გახსნა, ეს ერთ-ერთია იმ ობიექტებიდან, რომელიც მერიის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ამა წლის 19 აპრილს დაასრულეს. იმ დღეს მომზადებული სიუჟეტების მიხედვით, ბინის გასაღებები ათეულობით ოჯახს გადაეცა. მიუხედავად ამისა, მე-5 კორპუსში დღეს არავინ ცხოვრობს, სადარბაზოს ბოქლომი ადევს და შიგნით შესვლა მხოლოდ დაცვის თანამშრომლის ნებართვითაა შესაძლებელი. კორპუსში არაა ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი.

იქ ჩვენ ერთ-ერთი ბინის მესაკუთრესთან, მაკა ძებნიაურთან ერთად მივედით. „ამ კორპუსის დასრულების შესახებ ტელევიზიით გავიგე, ვუყურე სიუჟეტებს თუ როგორ ზარ-ზეიმით გახსნეს ჩემი კორპუსი. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ჩემთვის არავის შეუტყობინებია, მოდი და გასაღები ჩაიბარეო. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, „დექსუსს“ გახსნაზე სანდო ხალხი ჰყავდა მიყვანილი. სატელევიზიოდ გახსნის შემდეგ სადარბაზო ჩაკეტეს და გვეუბნებიან, თუ ახალ ხელშეკრულებას ხელს მოაწერთ და კიდევ 18%-ს გადაგვიხდით, შეგიშვებთ ბინაში, თუ არადა, არაო. მე არაფრის გადახდას არ ვაპირებ, რაც ხელშეკრულებით მევალებოდა, ყველაფერი გადახდილი მაქვს. მიუხედავად ამისა, რეესტრში არ გვიფორმებენ“.

ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირისა და ყიფშიძის ქუჩის კუთხეში მდებარე ე.წ. „შავი სახლი“ თითქმის იგივე კონდიციაშია, როგორშიც „ცენტრ-პოინტის“ დროს იყო. 19-სართულიან, 2 სადარბაზოიან კორპუსში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. „დექსუსმა“ ეს ობიექტი დასრულებულად აპრილში გამოაცხადა. ჩვენ მიერ შემოვლილ ობიექტებს შორის ის დასრულებასთან ყველაზე ახლოსაა, იქ კომუნიკაციები უკვე დამონტაჟებულია. თუმცა იქ მყოფმა ადამიანებმა გვითხრეს, რომ ფართების მფლობელები მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს არ აწერენ, რადგანაც კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებით უკმაყოფილონი არიან. როგორც შევიტყვეთ, ფართები მესაკუთრეებზე რეესტრშიც არ არის ასახული და კორპუსი არც მერიას მიუღია ექსპლუატაციაში.

„დექსუსის“ დირექტორი არ მალავს, რომ ბინის მფლობელებს ე.წ. დღგ-ს გადახდის გარეშე საჯარო რეესტრში ბინებს არ გადაუფორმებს. მისი თქმით, ის, რომ დაუსრულებელ ობიექტში მოქალაქეებს ცხოვრების უფლებას აძლევს, კომპანიის კეთილი ნებაა.

ხოშარაულის 29-ში „აფხაზეთის“ პირველი ბლოკი 10 სართულისგან და 6 სადარბაზოსგან შედგება. კორპუსი ამ წლის 11 მაისს „დექსუსის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ქალაქის მერმა გახსნა. კორპუსის ბინადრები ამბობენ, რომ შენობა „დექსუსის“ შემოსვლამდეც ამავე კონდიციაში იყო და ახალმა კომპანიამ მხოლოდ ფასადი და წვრილმანი სამუშაოები მოაწესრიგა. იქ მცხოვრები ადამიანები სამუშაოების უხარისხობაზე საუბრობენ, ჩამოყრილი ბათქაში, უხარისხო კარ-ფანჯრები აქ ადვილი შესამჩნევია. „გაზიც და თელასიც უნდა შემოსულიყო მაისში, მაგრამ ჯერ ისევ არაა. ახლა დროებითი დენი გვაქვს და არ ვიცი ზამთარში გაუძლებს კი ეს კაბელი დატვირთვას?“ – გვითხრა ნატო კობახიძემ, რომელიც ჩვილ ბავშვთან ერთად მე-2 სართულზე ცხოვრობს.

„ბინა 2008 წლის თებერვალში აგვისტოს ომამდე უნდა ჩამბარებოდა, სრული ღირებულებაც ომამდე გადავიხადე, მაგრამ რეესტრით დღემდე არ გადმოუციათ. ხედავთ, რომ ჭერიდან ბათქაშია ჩამოყრილი, კარ-ფანჯრები არ იკეტება, სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული“, – ამბობს ნინო პაპიაშვილი

ხოშარაულის 29 — „კინო“ 1-სადარბაზოიანი და 3-სართულიანი კომერციული ობიექტია. ის „დექსუსის“ ვებგვერდზე დასრულებული ობიექტების ჩამონათვალში ბოლოა. შენობის ფასადი დასრულებულია და როგორც გავარკვიეთ, კომუნიკაციების ნაწილიც შეყვანილია. ობიექტი არ ფუნქციონირებს.

„დექსუსის“ სიმართლე

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების შემოვლის შემდეგ „დექსუსს“ ვესტუმრეთ, ინტერვიუ კომპანიის დირექტორმა გიორგი ქანანაშვილმა მოგვცა. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ქანანაშვილის მონათხრობი ჩვენ მიერ ნანახი და ფოტოზე დაფიქსირებული ფაქტებისგან რადიკალურად განსხვავდება.

გიორგი ქანანაშვილი: „თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა ობიექტი დასრულებულია. იქ ჩვენ სამშენებლო სამუშაოებს არც ახლა და არც მომავალში აღარ განვახორციელებთ. კედელი თუ დასვრილია და შუშა ჩაიმტვრა, ეს სხვაა. ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ, საქართველოში

ბოლო 10 წელია იურიდიულად კორპუსის მშენებლობა არ დასრულებულა. მეც 5 წელია ვცხოვრობ კორპუსში, რომელსაც მშენებარე უწერია. მერიამ უნდა შეამოწმოს და მიიღოს ექსპლუატაციაში. თუ ყველა კომუნიკაცია არ დასრულდა, მერია კორპუსს არ იბარებს, ასევე პრობლემაა დიდი ობიექტის კორპუსების ნაწილის ჩაბარებაც, ეს ობიექტი მთლიანად უნდა ჩაბარდეს“.

ქანანაშვილი სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას და რომელიმე ობიექტზე დასრულების შემდეგ წყლის ჩასვლას უარყოფს, ამბობს, რომ წყალი ჰიდროიზოლაციის სამუშაოების დასრულებამდე ჩადიოდა, მაგრამ უკვე ყველაფერი მაქსიმალურად კარგადაა გაკეთებული.

„დექსუსის“ დირექტორი არ მალავს, რომ ბინის მფლობელებს ე.წ. დღგ-ს გადახდის გარეშე საჯარო რეესტრში ბინებს არ გადაუფორმებს. მისი თქმით, ის, რომ დაუსრულებელ ობიექტში მოქალაქეებს ცხოვრების უფლებას აძლევს, კომპანიის კეთილი ნებაა.

„შეგვეძლო ჩაგვეკეტა ეს კორპუსები და ექსპლუატაციაში მიღებამდე შიგნით არავინ შეგვეშვა, მაგრამ ამ ხალხის მდგომარეობაში შევედით და იქ ცხოვრების ნება დავრთეთ“. ნიშანდობლივია ის, რომ ამ ადამიანების უმრავლესობას ხელთ ხელშეკრულებები უჭირავთ, რომლის მიხედვითაც ბინები წლების წინ უნდა ჩაბარებოდათ და „დექსუსის“ კეთილი ნებაც არ უნდა დაჭირვებოდათ.

საუბრის ბოლოს „დექსუსის“ ხელმძღვანელმა და კომპანიის პიარ მენეჯერმა გვითხრეს, რომ მათ ვებგვერდზე დასრულებული ობიექტების სიაში „დიდი დიღმის ოაზისის“ მე-2 კორპუსი შეცდომით მოხვდა. ქანანაშვილი ამბობს, რომ მე-2 კორპუსი დასრულებული არ არის.

რამდენიმე ათასი კლიენტი უკვე წლებია „ცენტრ-პოინტის“ მიერ სახლის ჩაბარებას უშედეგოდ ელოდება, მათი ნაწილი დღეს სასამართლოს მეშვეობით იბრძვის, ნაწილი კი პერიოდულად საპროტესტო აქციებს მართავს და კუთვნილის მიღებას ითხოვს.

გამოსსაღებული სიკვდილის ქრონიკა საქართველოს სიხეებში

მაგდა მემანიშვილი, „სტუდია მონიტორი“

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ციხეებში 513 პატიმარი დაიღუპა. 2006 წლის შემდეგ დაღუპულ პატიმართა რაოდენობა ასკაციან ნიშნულს ორჯერ ასცდა, პირველად – 2007 წელს, როდესაც სისტემაში 101 ადამიანი დაიღუპა, მეორედ კი – გასულ წელს, როდესაც გარდაცვლილთა რაოდენობამ 142-ს მიაღწია.

მოცემული სტატისტიკის წყარო საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშია. 2011 წლის პირველი ნახევრის ანგარიშს ომბუდსმენის აპარატი, ტრადიციულად ნოემბერში, ან დეკემბრის დასაწყისში გამოაქვეყნებს. მონაცემებს წინასწარ არ ახმოვანებენ, თუმცა გავრცელებული და გადაუმოწმებელი ინფორმაციის თანახმად, შარშანდელი წლის პირველ ექვს თვესთან შედარებით წლევანდელი წლის პირველ ექვს თვეში დაღუპულ პატიმართა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ცნობისათვის, შარშან ივნისის ჩათვლით 59 პატიმარი იყო გარდაცვლილი, წელს ივნისის ჩათვლით კი, სავარაუდოდ, ეს ციფრი 70-ზე მეტია.

2010 წლის ანგარიშის თანახმად, იმ ავადმყოფობებს შორის, რომლებიც პატიმართა სიკვდილის უშუალო მიზეზად იქცა, ტუბერკულოზს კვლავინდებურად პირველი ადგილი (43.66%) უჭირავს.

„... ფილტვების ტუბერკულოზის ესა თუ ის შორს წასული ფორმა აღენიშნებოდა გარდაცვლილ პატიმართა 49.3%-ს, ანუ პრაქტიკულად ყოველ მეორე გარდაცვლილს. როგორც წესი, ეს შემთხვევები წარმოადგენს ტუბერკულოზის პირველად კერას. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის განმავლობაში პრაქტიკულად იგივე პროცენტული მაჩვენებელია დადგენილი. ანუ ტუბერკულოზის გავრცელებამ და მისით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ ციხეებში არ იკლო და ტუბერკულოზური ინფექცია, პრაქტიკულად, კვლავ რჩება პატიმართა სიკვდილის №1 მიზეზად. აღნიშნული ტენდენცია ხშირად იწვევს შეშფოთებას საერთაშორისო მასშტაბით“, ვკითხულობთ სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში.

როგორ იღუპებიან პატიმრები? რა გზას გადიან ისინი დაავადებიდან გარდაცვალებამდე? ჩვენ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ორი პატიმრის ისტორიით შევეცადეთ. მათი ამბები კი ოჯახის წევრთა მონათხრობითა და მათ ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის საშუალებით აღვადგინეთ.

გიორგი გამრეკელაშვილი

2010 წლის ივნისი იდგა, ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში მწოლიარე 28 წლის პატიმარი გიორგი გამრეკელაშვილი სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. მეუღლე ნინო ფარეშიშვილი ბოლო სამი თვის განმავლობაში თვალს ადევნებდა, თუ როგორ უახლოვდებოდა სიკვდილი მის ახალგაზრდა მეუღლეს. „ბოლო სამ დღეს უკვე ფილტვი ჩაწყდა და ჰაერი გადიოდა ორგანიზმში, საიდანაც ჩვენ ხელით ვტუმბავდით ამ ჰაერს და გარდაიცვალა საშინელი სიკვდილით. მთელ სხეულზე ჰქონდა ჭრილობები. კანი თითქმის არ ჰქონდა... საშინლად გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე სხეულზე უკვე გვამური ლაქები გაუჩნდა. ექიმები გაოცებულები იყვნენ, ისინი ამბობდნენ, რომ იმ ანალიზებით, რაც გიორგის ჰქონდა, გამრეკელაშვილი უკვე მკვდარი უნდა იყოსო, ანუ ანა-

ლიზის პასუხები შეუთავსებელი იყო სოცოცხლესთან“, – იხსენებს ნინო ფარეშიშვილი.

გიორგი გამრეკელაშვილი ციხეში 2007 წლის თებერვალში ყაჩაღობის ბრალდებით მოხვდა. მაშინ იგი მხოლოდ ცე ჰეპატიტით იყო დაავადებული. დაკავებიდან ცხრა თვეში გამრეკელაშვილი თბილისის მე-5 საპყრობილეში ტუბერკულოზით დაინფიცირდა. მეუღლის აზრით, ამის მიზეზი საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი პირობები იყო: „მცირე ოთახში იმყოფებოდა დაახლოებით ორმოცი პატიმარი. მორიგეობით ეძინათ, როგორც თვითონ ამბობდა, ექვსი საათი უწევდა დღე-ღამეში ძილი. ჰქონდათ პატარა ფანჯარა, საიდანაც შემოდიოდა ჰაერი და სხვა მხრივ, ისინი მუდმივად გახვეულები იყვნენ სიგარეტის ბოლში“.

გამრეკელაშვილი, დაავადების აღმოჩენისთანავე, ანუ 2007 წლის ოქტომბერში, ჩართეს სპეციალურ სამკურნალო პროგრმაში, ე.წ. DOTS-ში, რომელიც რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, როგორც ტუბერკულოზის კონტროლის სტრატეგია. ამ პროგრამის ფარგლებში პატიმრებს ენიშნებათ ანტიბიოტიკებით მკურნალობის ინდივიდუალური კურსი, რომელსაც ისინი ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ გადიან. ექიმის მკაცრი მეთვალყურეობა აუცილებელია, რადგან ძლიერ ანტიბიოტიკებს ხშირად ახლავს მძიმე გვერდითი მოვლენები – ფაღარათი, ღებინება, ღვიძლისა და თირკმლების მუშაობის გაუარესება...

DOTS მკურნალობის მიუხედავად, პატიმრის მდგომარეობა გაუარესდა. ოთხი თვის შემდეგ იგი ქსანში, ტუბერკულოზით ინფიცირებულ პატიმართა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო. მას კვლავ DOTS პროგრამით მკურნალობდნენ, თუმცა, 2008 წლის სექტემბერში ქსნის დაწესებულების ექიმის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ პაციენტი „აღმოჩნდა პოლირეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატების მიმართ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატიმარი ტუბერკულოზის ზემდგრადი ფორმით ყოფილა დაავადებული.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმა არის ის შემთხვევა, როდესაც დაავადების გამომწვევ ტუბერკულოზის ბაცილას გამოუმუშავდება ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობა. ანუ, იგი პირველი რიგის ანტიბიოტიკებს აღარ ექვემდებარება, პოლირეზისტენტული ტუბერკულოზი კი დაავადების უფრო აგრესიული, ზემდგრადი ფორმაა. ასეთი გართულებული ფორმების მკურნალობის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რომ პაციენტი რაც შეიძლება ჩქარა ჩაერთოს DOTS მკურნალობის გაძლიერებულ სქემაში – DOTS+ ში, რაც, თავის მხრივ, უფრო ძლიერ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკებით მკურნალობას ითვალისწინებს.

„მცირე ოთახში იმყოფებოდა დაახლოებით ორმოცი პატიმარი. მორიგეობით ეძინათ, როგორც თვითონ ამბობდა, ექვსი საათი უწევდა დღე-ღამეში ძილი. ჰქონდათ პატარა ფანჯარა, საიდანაც შემოდიოდა ჰაერი და სხვა მხრივ, ისინი მუდმივად გახვეულები იყვნენ სიგარეტის ბოლში“.

გამრეკელაშვილი DOTS+ პროგრამაში 2009 წლის 24 აპრილს ჩაერთო. უკვე წელიწადნახევარი იყო გასული მას შემდეგ, რაც მას ტუბერკულოზი დაუდგინდა. რამდენად ეფექტიანი იყო მკურნალობის 18 თვე? როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწის, ანტონ ქელბაქიანის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიწერილი წერილიდან ვიგებთ, პატიმარს 2008 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე უტარდებოდა DOTS პროგრამის მეორე კატეგორიით მკურნალობა. ხოლო 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის აპრილამდე – „სიმპტომური მკურნალობა“.

ნინო ფარეშიშვილი კი აცხადებს, რომ ამ ხნის განმავლობაში მის მეუღლეს პენიტენციალურ სისტემაში არასწორად და არაეფექტიანად მკურნალობდნენ: „გიორგი რეზისტენტული ტუბერკულოზით არ დაავადებულა, ის პოლირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადდა ... მერვე თვიდან უკვე ჩართული იყო სპეციალურ პროგრამაში, თუმცა – უშედეგოდ. ორჯერ ჩაუტარდა მკურნალობა, მაგრამ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა იმიტომ, რომ უკვე დაავადებული იყო, პოლირეზისტენტული ტუბერკულოზით და არასწორად მკურნალობდნენ“, – ამბობს ფარეშიშვილი.

უშედეგოდ დამთავრდა პატიმრის სისტემის გარედან მკურნალობის მცდელობაც. ამას ფარეშიშვილი იმით ხსნის, რომ ხელი არ მიუწვდებოდა ავადმყოფის ანალიზებზე: „შემდეგ გადავწყვიტე, მე თვითონ ამეყვანა ექიმი, წამომეღო ანალიზები, რენტგენი, მაგრამ ერთადერთი სისხლის წამოღება მოვახერხე, რაც დიაგნოზის დასასმელად არასაკმარისი აღმოჩნდა. შევეცადე ანალიზები თვითონ ციხიდან მომეპოვებინა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა, მითხრეს, რომ ანალიზები სპეციალურ ლაბორატორიაში იგზავნება. ეს არის ხუდადოვზე. ვიყავი იმ ლაბორატორიაში და მითხრეს, რომ ეს პასუხები არის კონფიდენციალური და ისინი პასუხებს ვერ მომცემდნენ, რომ შემეძლო წითელ ჯვარს დავკავშირებოდი და ანალიზის პასუხებს მათ გადასცემდნენ. „წითელ ჯვარშიც“ დავრეკე და მითხრეს, რომ ეს კონფიდენციალურია და დამამშვიდეს, რომ DOTS+ პრეპარატები ციხეში უახლოეს პერიოდში შევიდოდა“.

პატიმრის მკურნალობის პროცესში კიდევ ერთ დაბრკოლებად ნინო ფა-

რეშიშვილი არასათანადო კვებას მიიჩნევს. მისი თქმით, მას მეუღლესთან სათანადო საკვების შეტანის უფლება შეუზღუდეს. „როგორც ტელევიზიით ამბობენ, სინამდვილეში ასე არ ხდება. მათ არ აქვთ ნორმალური, შესაბამისი კვება, მაგრამ არც ჩვენ არ გვქონდა იმის საშუალება, რომ მუდმივად მიგვეწოდებინა მისთვის საკვები, რადგან საკვების დიდი უმრავლესობა ციხეში არ შედიოდა“, ამბობს გარდაცვლილი პატიმრის მეუღლე.

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულოზის გავრცელების მიზეზებად მიიჩნევს ყველა იმ გარემოებას, რაც გიორგი გამრეკელაშვილის ავადმყოფობის განმავლობაში გამოვლინდა. ესენია – ინფიცირებულ პატიმრებთან სიახლოვე, დაგვიანებული, შემდგომ შეწყვეტილი და კვლავ გაგრძელებული მკურნალობა, ასევე არასათანადო კვება.

„პირველი და ძალიან ხშირი მიზეზი არის, რა თქმა უნდა, შეწყვეტილი და შემდეგ ხელახლა დაწყებული მკურნალობა. მეორე, ეს არის ინფიცირებული პატიმრების მოძრაობა დაწესებულებიდან დაწესებულებაში, როდესაც მათი რეჟიმი იცვლება გარკვეული მიზეზების გამო; მთელი ამ პრობლემატიკის საწყისად გვევლინება სწორედ მკურნალობის დარღვეული ციკლი, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებული მკურნალობა და სხვა მრავალი გარემო ფაქტორი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ტუბერკულოზის კატასტროფულ გავრცელებას სასჯელაღსრულების სისტემაში“, – აღნიშნავს გიორგი ტუღუში.

გამრეკელაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ თავზე ბადრაგი ადგა. ავადმყოფს და მის ოჯახს ორჯერ ჰქონდათ მცდელობა, რომ სასჯელის გადავადებისათვის მიეღწიათ. მათ სურდათ, რომ პატიმარი, რომლის გადარჩენის იმედი სულ უფრო კლებულობდა, გარდაცვალების შემთხვევაში საკუთარ სახლში, ოჯახის წევრების გარემოცვაში შეხვედროდა სიკვდილს. სასჯელის გადავადების ორივე თხოვნას ჯერ მცხეთის, შემდეგ კი თბილისის საქალაქო სასამართლოებმა უარით უპასუხეს. გადაწყვეტილებები ორივეჯერ ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც.

2008 წლის ნოემბერში გაცემული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის პასუხის თანახმად, პატიმრის დიაგნოზი იყო „მარჯვენა ფილტვის ფიბროზულ-კავერნული ტუბერკულოზი ინფილტრაციისა და მოთესვის ფაზაში, მგბ (+) დადებითი, გართულებული წილთაშუა პლევრიტით, მულტირეზისტენტობა, სუნთქვის მეორე ხარისხის უკმარისობა“. დიაგნოზი ასეთივე მძიმე იყო 2009 წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნაში.

2009 წლის 23 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამარ-

გამარჯობა, მე ვარ მანანა თოქმაჯიშვილი, გადაცემის "ხაზზეა მოქალაქე" ავტორი და წამყვანი. გადაცემის მთავარ სიახლეს წარმოადგენს მისივე ფორმატი: მოქალაქის სახელით ვრეკავთ ცხელ ხაზებსა თუ საჯარო გამოცხადებულ ნომრებზე და ვცდილობთ გავარკვიოთ საზოგადოებისთვის აქტუალური თემები-ჯანდაცვითი, სოციალური, იურიდიული საკითხები... სატელეფონო ზარი ნინასწარ მეთანხმებული არ არის და შესაბამისად არ ვიცით, თუ ოგორ შეხვდებიან ჩვენს ზარს. გადაცემა მზადდება პირდაპირ ეთერში და იგი მთლიანად არის დამოკიდებული ცხელი ხაზებიდან მიღებულ ინფორმაციაზე, ოპერატორთა ყოფილგანწყობაზე და მათ მზაობაზე- დაეხმარონ მოქალაქეს პრობლემის გადაჭრაში.

ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ საჭირო ინფორმაციის მოძიება და მისი ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ ყი მოქალაქეებთან ურთიერთობის ჯელტერის პროპაგანდა, ხაზგასმა იმაზე, რომ ცხელი ხაზების ერთადერთი დანიშნულება მოქალაქეთა ზარებზე ოპერირებაა.

გადაცემის მთავარი დევიზია:

მოუსმინეთ, როდესაც ხაზზეა მოქალაქე!

გადაცემა "ხაზზეა მოქალაქე" გათვლილია მსმენელთა ფართო სპექტრზე. ნებისმიერს, ვინც თავს მოქალაქედ მიიჩნევს, ვინც სვამს კითხვას და ითხოვს პასუხს, ჩვენი გადაცემის აქტიურ მსმენელად მოვიაზრებთ. უსმინეთ **ხადიო კომერსანტს FM 95.5 სიხშირეზე!** ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11 სთ-სა და 25 წუთზე ეთერშია "ხაზზეა მოქალაქე".

Radio Commersant

თლემ ნატო ხუჯაძემ უარი სასჯელის გადავადების შესახებ ასე დაასაბუთა: „მართალია, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად გიორგი გამრეკელაშვილი მძიმე ავადმყოფია, თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი მკურნალობა დაწესებული სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს და ამ ეტაპზე ავადმყოფობა ხელს არ უშლის სასჯელის შემდგომ მოხდას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მის მიერ ჩადენილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები, აგრეთვე, მისი პიროვნების გათვალისწინებით (გამოცხადებული აქვს „საყვედური") სასამართლოს მიზანშეუწონლად მიაჩნია გამრეკელაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება განაჩენის აღსრულების გადავადების სახით".

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2003 წლის მარტში, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მიიღეს ე.წ. „აქტირების სტანდარტი", ანუ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება №372/ნ. ბრძანებას გრძელი სათაური აქვს – „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს".

დაავადებათა ჩამონათვალში პირველივე დაავადება რესპირატორული ტუბერკულოზია, იქვე ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმა და გართულებებია დაკონკრეტებული. მათ შორის გვხვდება გიორგი გამრეკელაშვილის დიაგნოზიც: „ფიბროზულ-კავერნული... ფილტვების პოლი- ან მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი".

მსჯავრდადებულმა გამრეკელაშვილმა სასჯელაღსრულების სისტემაში დაავადების აღმოჩენიდან 2 წელი და 8 თვე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში იგი ქსნის სამკურნალო დაწესებულებაში ოთხჯერ მოხვდა, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში – ასევე ოთხჯერ, ხოლო ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში – ორჯერ, სადაც საბოლოოდ გარდაიცვალა კიდეც.

„ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმარს აქვს მძიმე დაავადება, ასევე დაავადება, რომელიც ხვდება იმ ნუსხაში, რომელიც არის სასჯელის გადავადების ერთ-ერთი საფუძველი. თუმცა, სამწუხაროდ, არაერთი შემთხვევა დავაფიქსირეთ, როდესაც პატიმარს ჰქონდა რომელიმე კონკრეტული დაავადების საკმაოდ შორს წასული ფორმა, ვთქვათ, ეს შეიძლება იყოს მე-4 სტადიის კიბო, ტუბერკულოზის ძალიან მძიმე ფორმა, სადაც სიცოცხლის გადარჩენის ალბათობა ძალიან

2010 წლის აგვისტოში ქსანში ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდადებულთა დაწესებულებაში გარდაიცვალა 23 წლის მსჯავრდადებული ზურაბ კეთილაძე. ზურაბი, გიორგი გამრეკელაშვილის მსგავსად, ტუბერკულოზით თბილისის № 5 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დაავადდა.

დაბალია, თუმცა გადავადება დღის წესრიგში არ დამდგარა", – ამბობს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში.

ზურაბ კეთილაძე

2010 წლის აგვისტოში ქსანში ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდადებულთა დაწესებულებაში გარდაიცვალა 23 წლის მსჯავრდადებული ზურაბ კეთილაძე. მისი ძმის თემურ კეთილაძის თქმით, ზურაბი, გიორგი გამრეკელაშვილის მსგავსად, ტუბერკულოზით თბილისის № 5 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დაავადდა, რის შემდეგაც ქსანში გადაიყვანეს.

ზურაბი და თემური 6-7 წლის ასაკიდან ავადმყოფ დედას უვლიდნენ. თემური 18 წლის იყო, მისი ძმა კი – 17-ის, როდესაც დედა გარადაეცვალათ. მამა მშენებლობებზე მუშაობდა და ასე არჩენდა ორ შვილს. „ჩვენი თავის ანაბარა ვიყავით, ჯერ დედას და საკუთარ თავს ვუვლიდით, მერე კი – ერთმანეთს", ამბობს თემური. რამდენიმე წელში, 20 წლის ზურაბ კეთილაძე ქურდობის ბრალდებით დააკავეს, სასამართლომ მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პატიმარი ციხიდან 2011 წლის 22 ივლისს უნდა გამოსულიყო, თუმცა, გათავისუფლებამდე 11 თვით ადრე იგი დაიღუპა.

ზურაბ კეთილაძის სიკვდილის ამბავი ბურუსითაა მოცული. საქმე ისაა, რომ ოჯახი პატიმრის შესაძლო გარდაცვალებას ვერც კი დაუშვებდა, რადგან ზურაბ კეთილაძეს, სავარაუდოდ, არ ჰქონდა ტუბერკულოზის მძიმე ფორმა, იგი არც მძიმე და არც მწოლიარე ავადმყოფი იყო. სწორედ ამ გარემოებით ხსნის თემური ფაქტს, რომ ძმის მკურნალობის საკითხით ისევე, როგორც ავადმყოფობის ისტორიის მოპოვებით, პატიმრის სიცოცხლეში არც თავად და არც მამამისი არ დაინტერესებულან.

თემურის თქმით, ბოლოს ძმა 2010 წლის ზაფხულში, გარდაცვალებამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე ნახა: „ჩვეულებრივად ჯანსაღად იყო, როგორ ხარ-მეთქი. კარგად ვარ, მშვენივრად ვარო. სიგარეტს ხომ არ ეწევი კიდევ-მეთქი? არაო, თავი დავანებეო, პირიქით, ეკლესიაში დავდივარ, აღსარებებს ვაბარებო, სასადილოში ვმუშაობო. იქ ეხმარებოდა, დამხმარე იყო".

2010 წლის 17 აგვისტოს პატიმრის მამა, ალბერტ კეთილაძე ქსანში შვილის მოსანახულებლად ჩავიდა. „მამაჩემი ჩავიდა 17 აგვისტოს. აქედან გავატანე რაღაცები. ჩავიდა. პაემანი ჰქონდა, სხვათა შორის, უნდა ენახა ერთი საათით და რომ ჩავიდა, სიაში რომ მოძებნა, ჩვენი გვარი არ იყო. მამაჩემი დაეჭვდა, რატომ არ არისო. შენ ვერ წახვალ პაემანზეო, იქ უთქვამთ. არ ხარ სიაშიო. ჩემი

ძმა, ალბათ, უკვე გარდაცვლილი იყო, მამაჩემს დაუმალეს“, – ასეთ ვარაუდს გამოთქვამს თემურ კეთილაძე.

როგორც იგი იხსენებს, ძმის სიკვდილის ამბავი 2010 წლის 19 აგვისტოს გაიგო: „ვიღაცა ბიჭი შეხვედრია ჩემს მეზობელს და უთქვამს, ეს ნომერი გამომძიებლისაა, დარეკეთ და დაა-ზუსტეთო. მომცეს ნომერი, დავრეკე. თბილისის რომელიღაც საგამოძიებო განყოფილების დეტექტივი იყო. დავურეკე, გარდაცვლილის ძმა ვარ და, თუ შეიძლება მითხარით, რა მოხდა -მეთქი. თქვენი ძმა ნამდვილად 19 აგვისტოს გარდაიცვალაო, ამჟამად გადაყვანილია პროზექტურაში, გაკვეთა უტარდება და ერთ საათში გლდანში იქნებაო, გლდანის ციხის პროზექტურიდან შეგიძლიათ წაყვანაო.

ჩვენ მეგობრის მანქანით წავედით, რომ მივედით თვითონ გლდანის დაწესებულებაში, პროზექტურაში, თქვენ ვერ შეხვალთო. რას ჰქვია, ვერ შევალთ, ჩემი ძმა იყო და ეს მშობელია-მეთქი. ვერ შეხვალთ, მარტო მძღოლიო, მძღოლს დაატოვებინეს მობილური და შიგნით შეუშვეს. სანამ ისინი გამოვიდოდნენ, რომელიღაც თანამშრომელმა ბლანკი შემავსებინა, ხელი მომაწერინეს, რომ მე არ ვუჩიოდი მაგათ სამინისტროს. ხელი მოვუწერე, ან ვინ დამედანაშაულებინა, ვისთვის დამედო ხელი?“, – ამბობს თემურ კეთილაძე.

ზურაბის სიკვდილით გამოწვეული სტრესის შემდეგ, როგორც თემური აღნიშნავს, მან და მამამისმა სიმართლის დადგენის სურვილიც კი დაკარგეს. „ექსპერტიზის პასუხი არ მოსულა, არანაირი დასკვნა, არაფერი. თვითონ მითხრეს, პასუხი ერთ კვირაში იქნებაო. მეც არ ჩავაკითხე. რა აზრი ჰქონდა ახლა მაგათ ექსპერტიზის პასუხს ჩემთვის. ფაქტი სახეზეა, რომ ძმა აღარ მყავს“, – იხსენებს თემური.

თუმცა, სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, როცა ოჯახი „გონს მოვიდა“, დაინტერესდნენ, თუ როგორ, რა პირობებში და რის გამო გარდაიცვალა 23 წლის პატიმარი. ოჯახმა ზურაბის სიკვდილის ზუსტი თარიღიც კი არ იცის. თავად ისინი ვარაუდობენ, რომ პატიმარი უკვე 17 აგვისტოს იყო გარდაცვლილი, რადგან პაემანზე ჩასულ მამას არ შეახვედრეს, გამომძიებელმა, რომელიც თემურს ტელეფონით 2010 წლის 19 აგვისტოს ესაუბრა, ზურაბის სიკვდილის თარიღად 19 აგვისტო დაასახელა. არსებობს მესამე თარიღიც – 2010 წლის 22 აგვისტო, რომელიც მითითებულია ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდადებულთა სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობაში. ეს დოკუმენტი 2010 წლის ნოემბრითაა დათარიღებული და მას ხელს აწერს სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მაიორი მ. სამაშვილი.

გაჩენილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტროს შეეძლო, რომელსაც მიმართა კიდეც გარდაცვლილი პატიმრის ძმამ. სამინისტროდან 2011 წლის ოქტომბერში მოსული შეტყობინების თანახმად, ზურაბ კეთილაძის სამედიცინო დოკუმენტაციისა და სიკვდილის შემდგომი ექსპერტზის მიწოდება ქსნის ტუბერკულიოზით დაავადებულ მსჯავრდადებულთა სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს, ტრაპაიძეს დაევალა. ოჯახი ისევ მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობს, კეთილაძეები კვლავაც ელოდებიან ოფიციალურ პასუხს კითხვაზე – რა გახდა 23 წლის მსჯავრდადებულის გარდაცვალების მიზეზი?

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“

მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ხუთშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

სტატია მომზადებულია ევროკავშირის, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ფოტორეპორტაჟი

ნაბავსაყრელი ისტორიას დაჩრდება

ირაკლი ძნელაძე

დილა!: 8-ის 11 წუთი. მაღვიძარამ გამაღვიძა ჩარკვიანის სიმღერით – „ისტორიას დარჩება“. დავლიე ყავა, ავიღე ჩემი ფირის ფოტოკამერა და გავემგზავრე გონიოსაკენ. არა! მატათას საფლავზე არ წავსულვარ, იქ მისვლამდე მარჯვნივ გადავუხვიე, სადაც ჭოროხი ზღვას უერთდება,სადაც დიდი გაშლილი სივრცეა და სადაც ადამიანებს რაღაცის ძიებაში გაჰყავთ დრო.

პირველად მივდივარ ამ გზაზე, ვიცი, სადღაც ნაგავსაყრელია. გარკვეული დროის განმავლობაში გზად არავინ შემხვედრია. ისიც კი არ ვიცოდი, სწორად მივდიოდი თუ არა, სანამ უეცრად არ გამოჩნდა ბიჭი, დამწუხრებული და დაღლილი, ამ მარტოობაში მარტოდ მყოფი. გავაჩერე და სიმარტოვე დავურღვიე. ვკითხე, სწორი გზა თუ მქონდა არჩეული. მან მიპასუხა, რომ კი. მეც გზა გავაგრძელე. მაწუხებდა მხოლოდ ერთი რამ – სუნი, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ვხვდებოდი, რომ მალე ჩემი ფირის კამერაზე აღიბეჭდებოდა რაღაც, რაც არასოდეს მინახავს. გარკვეული მანძილის შემდეგ ჩემს თვალწინ გამოჩნდა გაშლილი სივრცე, გადაჭედილი სიბინძურით, თოლიებით და ხალხით. ადამიანები ისე გაჟღენთილიყვნენ ნაგვით, რომ თვალი ამიჭრელდა და დამეკარგა ზღვარი ნაგავსა და მათ შორის. ვერ მივხვდი, რას აკეთებდნენ. ამოვიღე ფოტოპარატი და ამ ყველაფრის გადაღება დავიწყე.

გამოჩნდა სანდასუფთავების მანქანა და იქ მყოფი ხალხი ჭიანჭველებივით მიესია მას. ნაგვის გადმოყრისას ყველა სულმოუთქმელად ეძებდა რაღაცას, მე კი ფოტოებს ვიღებდი და ყელში სიმჟავის გაურკვეველი შეგრძნება მაწვალებდა. საშინელი სანახაობა იყო...

მანქანა დაიძრა! იქ მყოფი ადამიანები მიიფანტნენ ამ გაშლილ სივრცეში და სხვა ადგილებში ძიება განაგრძეს. ერთთან შევძელი გამოლაპარაკება, ამით სხვებიც დაინტერესდნენ და ჩემ ირგვლივ შეიკრიბა ადამიანთა გარკვეული ნაწილი, რომლებსაც აინტერესებდათ, თუ ვინ ვიყავი მე, მე კი მაინტერესებდა მათი აქ ყოფნის მიზეზი. გავარკვიე, რომ ისინი „ჯართს“ ეძებენ და ერთ კილოგრამს 22 თეთრად აბარებენ. ეს არის მათი შემოსავლის წყარო. ბუნებრივია, რაღაც მნიშვნელოვანსაც პოულობენ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იშვიათად ხდება.

ამ ადამიანებმა თავიანთი პრობლემები გამიზიარეს, მომიყვნენ აქ ყოფნის მიზეზს. ყველაზე ცივი და გულგრილიც რომ იყო ამ ყველაფრის შემხედვარე და მომსმენი, თავს კარგად ვერ იგრძნობ ვერასოდეს. არ ვიცოდი, რით დავხმარებოდი, დავიბენი... ბოდიში მოვუხადე და დავემშვიდობე.

უკან მომავალს ამეკვიატა დილანდელი „ისტორიას დარჩება“ და ახლა მართლა ვგრძნობ, რომ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება...

საიდუმლო ქალაქი

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

„ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერებში“ პერიოდულად ალბათ შეხვედრილხართ ტერმინ „ფსიქოგეოგრაფიას.“ ამ ტერმინს საკმაოდ ბევრი, ადვილად ან ძნელად გასაგები განმარტება და საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. საბოლოო ჯამში, ჩემი ეს რუბრიკა, ერთი მხრივ, ფსიქოგეოგრაფიული ხასიათისაა („ერთხელ ავჭალაში“ „გლდანში“, გასეირნება ავლაბარში,“ ან „მე რომ საქართველოში პირველად ჩამოსული უცხოელი ვიყო“), მეორე მხრივ კი, ის ქალაქის, როგორც ტექსტის გაშიფვრითაა დაკავებული. ამ ტექსტის უკეთ აღსაქმელად საჭიროა, უფრო მეტი იცოდეთ ფსიქოგეოგრაფიაზე, კიდევ ერთხელ შევეცდები, ამ ტერმინის რაც შეიძლება მარტივი განმარტება შემოგთავაზოთ, – ფსიქოგეოგრაფია გეოგრაფიულ, ურბანულ თუ არაურბანულ, ადგილებზე წარმოქმნილი სხვადასხვა განწყობების (ზოგადი ატმოსფეროს), ისტორიების, ქმედებების და პერსონაჟების ფარული პეიზაჟია, რომლის მეშვეობითაც ეს ადგილები იმუხტება და ყველაფერი ეს ზეგავლენას ახდენს ადამიანების ფსიქიკაზე და ქცევებზე. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ქალაქის, ამ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის უკეთ გასაგებად, გიჟური ექსპერიმენტებია საჭირო (სხვათა შორის, ამ ექსპერიმენტებს არც სახელმწიფო, არც კორპორატიული და არც ოლიგარქული სახსრები არ ესაჭიროება). გიჟური ჩვენი, ქართულ-ზარმაცულ-ფეხებზე-მკიდია-ყველაფერი-ვიცი გაგებით, თორემ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში არსებული ფსიქოგეოგრაფიული საზოგადოებები თუ უნივერსიტეტები უკვე დიდი ხანია სწავლობენ თავიანთი ქალაქების საიდუმლო ცხოვრებას, რადგანაც კარგად იციან, რომ ქალაქის სხვადასხვა უბანში არსებული ხმები, სუნი თუ ტექსტურა ქალაქის სული და გულია. ყველა უბანს, ყველა ქუჩას, ყველა პროსპექტს, ეზოს თუ ჩიხს თავისი ბგერა, სუნი და განუმეორებელი შეგრძნება აქვს და ამ შეგრძნებების შემგროვებლები ჩვენ ვართ, რადგანაც სწორედ ჩვენი სხეულია ასეთი ინფორმაციის შემგროვებელი მექანიზმი. ასე იქმნება სხეულის მეხსიერების ხილული რუკები და როგორც უკვე გითხარით, ეს ჩემი მოგონილი არაა.

მოკლედ, წინადადება მაქვს. გთავაზობთ თბილისის უბნების ფსიქოგეოგრაფიული რუკის შედგენას და ამისთვის მოხალისეები მესაჭიროება, – ერთი-ორი კარტოგრაფი (მათ თვითონ დავძებნი) და ბლომად მოხალისეები. ძირითადად უქმ დღეებში შევხვდებით და ჯგუფებად ვიმუშავებთ. მუშაობის ძირითადი პრინციპი ასეთია: მას შემდეგ, რაც შევთანხმდებით თბილისის უბნებში ჩვენთვის საინტერესო მარშრუტებზე, ჯგუფებად დავიყოფით და ყველა ჩვენ-ჩვენს უბანს მივაშურებთ. ყველა ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ეყოლება. ეს მნიშვნელოვანია ქაოტური ქმედებების თავიდან ასაცილებლად. ამის შემდეგ ხუთი-ექვსი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი არჩეულ მარშრუტს გაუყვება (მარშრუტი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე) და ამ ხეტიალის დროს ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია დააფიქსიროს ქალაქის ამა თუ იმ უბანზე გაჩენილი შეგრძნებები, ვიზუალური, აუდიო, სენსორული. ეს ინფორმაცია თავს ჯგუფის ხელმძღვანელთან მოიყრის. ამის შემდეგ იწყება ექსპერიმენტის მეორე ეტაპი. იგივე ჯგუფები იმავე მარშრუტებს გადიან, ოღონდ ამჯერად ჯერ ახვეული თვალებით (ამ დროს „ბრმებს“ ერთი ხილული მიუძღვება წინ), მერე კი დახშული ყურებით და ამ ეტაპებზეც ჯგუფის ყველა მონაწილე თავიდან აფიქსირებს თავის ინდივიდუალურ შეგრძნებებს. ამ დარჩენილი ორი ხეტიალის შემდეგ ექსპერიმენტის ძირითადი, პრაქტიკული ნაწილი დასრულებულია და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება

ჩვენ მიერ შეგროვებული შეგრძნებების და ემოციების ხილული რუკის შედგენა. ჩვენი კარტოგრაფების მეშვეობით შედგება იმ უბნების რუკები, სადაც ჯგუფებმა იხეტიალეს, ხოლო ამ რუკებზე კი დატანილი იქნება ჩვენს მიერ ხეტიალის დროს შეგროვებული ვიზუალურ-აუდიო-სენსორული ინფორმაცია, ანუ რა სახის ბგერები დომინირებენ ამა თუ იმ მონაკვეთებში, როგორი სუნი ასდის ქუჩების ამა თუ იმ მონაკვეთს, სადაა დადებითი და უარყოფითი მუხტის თავმოყრის წერტილები, სად იგრძნო ჩვენმა სხეულმა კომფორტი და სად დისკომფორტი და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს რუკებზე განთავსდება, მერე კი ამ რუკებს საზოგადოებას წარვუდგენთ. As simple as that!

რას იტყვით? პასუხებს ჟურნალის საიტზე დაველოდები.

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE